გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№20 (1610) 25 — 31 მაისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

საშინელი რეალობა – ორ დღეში წართმეული ოთხი სიცოცხლე

რა ელის მამაკაცს, რომელმაც შვილების თვალწინ, ცოლს ყელი გამოსჭრა

ექსკლუზიური ვერსია – რა ულტიმატუმი წაუყენა ენმ-ს ერთმა ჯგუფმა სააკაშვილს

ამზადებენ თუ არა ნიკა გვარამიას ოპოზიციის ლიდერად

გადაწყვეტილება მიღებულია – ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიები ქონების გადასახადისგან გათავისუფლდებიან

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

„მკითხეს, გიჟი ხარო და ვუპასუხე, კი-მეთქი!“

„ჯიგრებო, თქვენი არაფერი გვინდა, მხოლოდ მიწა მოგვეცით“ – გიგა მაქარაშვილის ინიციატივით, ბუჩაში სკოლა აშენდება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ცხრა პირი დააკავა, შვიდ პირს, მათ შორის, სამ „კანონიერ ქურდს“ ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსმა, თორნიკე მარსაგიშვილის ბრიფინგი გამართა.

როგორც ბრიფინგზე ითქვა, შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს „ქურდული“ მენტალიტეტისა და „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, მოქალაქეთა შორის არსებული ფინანსური დავების „ქურდული წესით“ გარჩევის ფაქტები გამოავლინეს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებების და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ცხრა პირი დააკავეს, ხოლო შვიდ პირს ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით, დაკავებულნი არიან: 1978 წელს დაბადებული რ.კ., 1992 წელს დაბადებული ბ.ზ., 1993 წელს დაბადებული ზ.ც. და 1971 წელს დაბადებული გ.ა.

სამართალდამცველებმა „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებით დააკავეს: 1984 წელს დაბადებული ნ.კ., 1970 წელს დაბადებული ი.მ., 1993 წელს დაბადებული თ.ბ. და 1986 წელს დაბადებული ჯ.ს.

1980 წელს დაბადებული ე.ფ. (მეტსახელად, „პაჭო“) კი დაკავებულია „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისთვის.

ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ: 1972 წელს დაბადებულ თ.გ.-ს (მეტსახელად, „თემო სოხუმსკი“) – „კანონიერი ქურდობისთვის“, ასევე, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისთვის, 1984 წელს დაბადებულ მ.გ.-ს – „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, აგრეთვე, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისთვის, 1986 წელს დაბადებულ ვ. ჩ.-სა და 1991 წელს დაბადებულ დ. უ.-ს – „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, 1979 წელს დაბადებულ დ. წ.-ს – „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვისთვის, ხოლო 1987 წელს დაბადებულ კ.ტ.-ს (მეტსახელად, „ენცო“) და 1970 წელს დაბადებულ თ.ხ.-ს (მეტსახელად, „ჭინკა“) – „კანონიერი ქურდობისთვის“.

დანაშაულები 3-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული „ქურდული სამყაროს“ წევრები და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერი, მოქალაქეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარებისა და პირადი სარგებლის მიღების მიზნით, საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ, რომლებსაც ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ. ფინანსური დავების გადაწყვეტის მიზნით, ბრალდებულები ე.წ. ქურდულ გარჩევებს აწყობდნენ, რომლებსაც მოდავე მხარეებიც ესწრებოდნენ.

ბრალდებულები ე.წ. ქურდულ გარჩევებზე მოდავე მხარეების პოზიციებს ისმენდნენ, შემდეგ ე.წ. ქურდული ტრადიციების შესაბამისად, გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ერთ-ერთ მოდავე მხარეს მეორის, ასევე, თავიანთ სასარგებლოდ განსაზღვრულ დროში გარკვეული თანხის გადახდას აკისრებდნენ, ვადის გადაცილების შემდეგ კი ე.წ. საჯარიმო თანხას სთხოვდნენ.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენიმე თვის განმავლობაში განხორციელებული ინტენსიური ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ჩატარებული ჩხრეკების შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს, ასევე, საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ.

„კანონიერი ქურდობის“, „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, ასევე, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პირველი პრიმა მუხლით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლით, 223-ე მე-4 პრიმა მუხლით და 144-ე მე-3 პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ექვსი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, კახეთში, სამეგრელოსა და იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს, დაკავებულია ექვსი პირი.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.შ. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის ბინებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკისას, სხვადასხვა ტიპის 2 ცეცხლსასროლი იარაღი და 15 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1989 წელს დაბადებული კ.ა. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, ბათუმში დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით, ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 5 ვაზნა ამოიღეს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ტ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, თელავის მუნიციპალიტეტში დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 3 ცეცხლსასროლი იარაღი და 23 ვაზნა ამოიღო.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორებისა და ზუგდიდის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს, ორი პირი – 1972 წელს დაბადებული თ.კ. და 1989 წელს დაბადებული გ.დ. დააკავეს.

მათ ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში ედებათ.

სამართალდამცველებმა მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, თ.კ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 30 ვაზნა, ხოლო ქალაქ ზუგდიდში, გ.დ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 75 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1979 წელს დაბადებული ზ.ჩ. ხონში იმავე ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოს ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 მჭიდი და 99 საბრძოლო ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ექსკლუზიური ვერსია – რა ულტიმატუმი წაუყენა ენმ-ს ერთმა ჯგუფმა სააკაშვილს

ამზადებენ თუ არა ნიკა გვარამიას ოპოზიციის ლიდერად

ნინო დოლიძე

მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის ეპოპეა გრძელდება ანუ ოპოზიციისთვის ისევ დღის წესრიგშია მესამე პრეზიდენტის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანა. იმის ალბათობა, რომ სააკაშვილს მკურნალობა რეალურად სჭირდება, ცხადია, არსებობს, მაგრამ თუ ყველაფერ ამას გარედან, დამკვირვებლის თვალით შევხედავთ, შესაძლოა, სხვა ეჭვიც გაჩნდეს. კერძოდ, არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობას ვიღაცები პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ. რას ნიშნავს „პოლიტიკური მიზნები“? იმის ილუზია, რომ ოპოზიცია რევოლუციას მოაწყობს, რასაკვირველია, თავად „ანტიოცნებელებსაც“ არ აქვთ. მაშ, რა ხდება? – ამ კითხვას პასუხი მეტ-ნაკლებად არგუმენტირებულად რომ გავცეთ, მოდით, მესამე პრეზიდენტის დაჭერის პრეისტორია გავიხსენოთ. ზოგადად, პოლიტიკაში ჭეშმარიტება არ არსებობს, თუმცა ობიექტურობასთან ახლოს მყოფი დასკვნის გასაკეთებლად, მარტო წარსულის გახსენება კი არა, პარალელებიც საჭიროა ხოლმე.

ერთი სიტყვით, თავდაპირველად გავიხსენოთ, რომ 2013 წლის ანუ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტობის ვადა ამოეწურა და საქართველო დატოვა, მიხეილ სააკაშვილმა მრავალჯერ განაცხადა, აი, სამშობლოში ვბრუნდებიო, მაგრამ წელი წელს ისე მისდევდა, რომ ეს განცხადება განცხადებად რჩებოდა. გასული წლის შემოდგომაზე, როცა მიშამ კიდევ ერთხელ თქვა, ადგილობრივი არჩევნების დღეს საქართველოში ჩამოვალო, თვით „ნაცების“ ნაწილსაც კი სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ სააკაშვილმა ის გააკეთა, რასაც არავინ ელოდა – საქართველოში ჩამოვიდა, ოღონდ თვითმფრინავით, ან გემით კი არა, ტრაილერით ჩამოვიდა.

რატომ აირჩია ეს გზა? – ამის შესახებ დანამდვილებით, მიშას გარდა, არავინ იცის, მაგრამ მოარული ხმით, ექსპრეზიდენტი საკუთარ გარემოცვას არ ენდობოდა და კონსპირაცია ამიტომაც გადაწყვიტა.

„საკუთარი გარემოცვა“, საერთოდ, ფართო ცნებაა, ამიტომ ენმ-სთან დაახლოებულნი ამბობენ, რომ სააკაშვილი ეჭვის თვალით მელიას „კამანდას“ უყურებდა და უყურებს.

ვინ იყო ის, ვინც მიშა დაარწმუნა, თუ საქართველოში ჩახვალ, დაგიჭერენ, მაგრამ პატიმრობაში დიდხანს არ იქნები, ხალხი ქუჩაში გამოვა და „ოცნება“ იძულებული გახდება, გაგიშვასო?

„დამარწმუნებლის“ ვინაობა უცნობია, თუმცა ზოგს ეჭვი მერაბიშვილზე აქვს, ზოგსაც – ადეიშვილზე.

ასეა თუ ისე, ფაქტი ისაა, რაც არის – სააკაშვილის დასაცავად, ქუჩაში ზღვა ხალხი არ გამოსულა. უფრო მეტიც, ისე ჩანს, რომ მიშა საკუთარმა გუნდმაც კი გაწირა.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, ენმ-ს ყოფილმა თავმჯდომარემ და ოპოზიციის პრეზიდენტობის ექსკანდიდატმა, გრიგოლ ვაშაძემ საჯაროდ თქვა, მიშა ნანობსო.

მართალია, ვაშაძეს არ დაუკონკრეტებია, ყოფილი პრეზიდენტი რას ნანობს, მაგრამ დიდი ალბათობით, საუბარი საქართველოში ჩამოსვლაზეა.

თუ ასეა, მაშინ იმის თქმაც შეიძლება, რომ სააკაშვილის ემოციური მდგომარეობა ფიზიკურზე არანაკლებ მძიმე უნდა იყოს. დიახ, თითოეულმა თქვენი თავი წარმოიდგინეთ – გგონიათ, რომ მეგობრებისა და გულშემატკივრების არმია გყავთ, მაგრამ განსაცდელში მყოფი, უცებ აღმოაჩენთ, რომ გვერდით არავინ გიდგათ.

ახლა, შესაძლოა, ვიღაცამ თქვას, მიშას გულისთვის, აქცია აქციაზე იმართებოდა და ამაზე მეტი მხარდაჭერა რაღა უნდა იყოსო. კი ბატონო, აქციები მართლაც, იმართებოდა, მაგრამ აბა, გაიხსენეთ – ჯერ ერთი, ამ აქციებს პერმანენტული სახე არ ჰქონია. მეორეც, აქციები არცთუ ხალხმრავალი იყო. უფრო მეტიც, ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ, ენმ-სთან დაახლოებული ადამიანები რეგიონებში, თურმე, ხალხს ეუბნებოდნენ, არ წახვიდეთ აქციაზე, მიშას მაინც არავინ გამოუშვებსო.

ზოგადად, სააკაშვილის გამოშვება-არგამოშვება მაინცდამაინც აქტუალური თემა აღარ არის. ზოგ „მიშისტს“ ისიც კი ჰგონია, რომ იგივე ენმ-ს სააკაშვილი დაავიწყდა. თუ კარგად დავაკვირდებით, ამ მოსაზრებას უსაფუძვლო არ ეთქმის, რადგან მესამე პრეზიდენტის თემის ლოკომოტივობას, ბოლო დროს, ოჯახი ცდილობს ანუ შესაძლოა, გაჩნდეს ვერსია, რომ ოჯახმა სააკაშვილის მთავარი ოპოზიციური პარტიისგან გამიჯვნის პროცესი დაიწყო.

პოლიტიკაში, როგორც ცნობილია, ყველაფერი „მოსულა“. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ენმ-სა და მიშას გზები გაიყოს, თუმცა თუ ასე მოხდება, მაშინ გაჩნდება კითხვა – ენმ გაემიჯნა სააკაშვილს, თუ პირიქით?

„ვერსიის“ წყაროების მონაცემებით, ენმ ყველაფერს აკეთებს, რომ სააკაშვილი „კადრს მიღმა“ დარჩეს ანუ როგორც წყაროები გვეუბნებიან, პარტიის ერთმა ჯგუფმა მიშას ულტიმატუმივით წაუყენა, რომ მისი გათავისუფლებისთვის ყველაფერს გააკეთებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი საჯაროდ განაცხადებს, პოლიტიკიდან მივდივარო.

ამასთან, წყაროები იმასაც გვიყვებიან, რომ მიშას პოლიტიკიდან გასვლას ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც ცდილობენ. უფრო მეტიც, უცხოელები მოითხოვენ, რომ სააკაშვილმა მხოლოდ ქართულ კი არა, იგივე უკრაინულ პოლიტიკაზეც თქვას უარი ანუ გასაგებად რომ ვთქვათ, დასავლეთელები ექსპრეზიდენტისგან გარანტიებს ითხოვენ, მაგრამ მიშა პოლიტიკის გარეშე, ვინმეს წარმოგიდგენიათ?

რა თქმა უნდა, ვერ ვამტკიცებთ, რომ წყაროების მიერ მოწოდებული ცნობები უტყუარია, მაგრამ როგორც წესი, კვამლი უცეცხლოდ არასოდეს ჩნდება.

შესაბამისად, იმ ხმაშიც უნდა იყოს სიმართლის მარცვალი, კულუარებში რომ ამბობენ, ოპოზიცია ახალ ლიდერად ნიკა გვარამიას ამზადებსო.

გვარამიას ქარიზმა კი აქვს, მაგრამ რამდენად მისაღები იქნება ის ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატისთვის? – ამას დრო აჩვენებს, თუმცა ფაქტია, რომ პატიმრობას, ისეთი ტიპი, როგორიც გვარამიაა, აუცილებლად აქტივისთვის გამოიყენებს.

ბრძოლა კრიმინალური ფულისთვის ოკუპირებულ ცხინვალში

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ე.წ. სამხრეთ ოსეთში, დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები ოპოზიციონერი კანდიდატის გამარჯვებით დასრულდა. მეორე ტურში, ალან გაგლოევმა მოქმედი ე.წ. პრეზიდენტი, ანატოლი ბიბილოვი დაამარცხა. 41 წლის ალან გაგლოევი, 2020 წელს, ოპოზიციური პარტია „ნიხასის“ ლიდერი გახდა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გაგლოევის გამარჯვება, ბიბილოვის მმართველობით საზოგადოების უკმაყოფილებისა და საპროტესტო ხმის მიცემის შედეგია, თუმცა ბიბილოვის მიერ გამოცხადებული რეფერენდუმი რუსეთთან შეერთების თაობაზე, შეიძლება, მაინც ჩატარდეს.

8 მაისს, წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ, ბიბილოვმა მარცხი აღიარა, გაგლოევს გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა. საინტერესოა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების რეფერენდუმის საკითხიც, რომელიც პრეზიდენტმა ბიბილოვმა დააანონსა. დოკუმენტები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე შეტანილია. გაგლოევის გამარჯვების აღიარების შემდეგ, ბიბილოვმა განაცხადა, რომ რეფერენდუმი მაინც ჩატარდება. მანამდე გაგლოევმა სატელევიზიო დებატების დროს ოფიციალურად განაცხადა, რომ იმავე საკითხზე პლებისციტს გამართავს – ნათქვამია „ჯემნიუსის“ მიერ გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიაში. ცხინვალის დე ფაქტო არჩევნებზე, „ვერსია“ ევროპელი დემოკრატების ლიდერ პაატა დავითაიას ესაუბრა:

– ბაატონო პაატა, როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ბიბილოვის მარცხი ე.წ. არჩევნებში?

– დავიწყოთ იმით, რომ ეს არალეგიტიმური არჩევნებია და მხოლოდ 10 000 კაცი იყო არჩევნებზე, ამიტომ ლაპარაკი „პრეზიდენტობაზე“ სასაცილოა.

ერთი კრიმინალური დაჯგუფება მეორემ ჩაანაცვლა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ამ სიტუაციაში ისაა, რომ ბიბილოვის დამარცხება განაპირობა ახალგორის მოსახლეობამ ანუ ქართულმა ხმებმა. გაგლოევის პოზიცია იყო (რაც ჩვენთვის სახიფათოა), რომ უნდა გაიხსნას დამაკავშირებელი გზა, ეს ჩვენ წინააღმდეგ სტრატეგიული გზა იქნება, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ გააკეთოს დასკვნა – წარმოიდგინეთ, ქართულმა ხმებმა გადაწყვიტა „საპრეზიდენტო არჩევნების“ ბედი, მართალია, პუტინის მეორე კანდიდატმა გაიმარჯვა, მაგრამ პუტინის პირველმა კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა იმიტომ, რომ ქართული ხმები იყო ჩარეული.

იგივე ხდება აფხაზეთშიც, როდესაც გალის მოსახლეობას ძალით აღებინებენ ე.წ. არჩევნებში მონაწილეობას, სწორედ გალის მოსახლეობა წყვეტს დიდწილად, თუ ვინ იმარჯვებს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს დასკვნა, როგორ შეიძლება ზეგავლენა იყოს წარმოებული ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნებისმიერ „არჩევნებზე“. ეგებ, ჩვენ ჩვენი „ბანდიტი“ მოვიყვანოთ „ხელისუფლებაში“, რომელიც მერე ხელს მოგვიწერს რაღაცებზე. იქ ყველა „ბანდიტია“, ნორმალური არ მოვა, მაგრამ ჩვენი „ბანდიტი“ შეიძლება, მოვიყვანოთ... ვხუმრობ, რა თქმა უნდა, მაგრამ რეალობა ესაა და ყველაფერ ამას, სჭირდება სტრატეგია. გაგლოევმა გამარჯვებისთანავე განაცხადა, რეფერენდუმი მაინც ჩატარდებაო და ახლა მთავარი ისაა, რაც არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ – სასწრაფოდ სჭირდება ყველაფერს სამართლებრივი შეფასება. ამ პირებზე უნდა გაიცეს სანქციები, რადგან რეფერენდუმის საკითხი მომზადებაა ანექსიისთვის. დააკვირდით გაგლოევის ქმედებას – არჩევნებამდე ამბობდა, რეფერენდუმი რად გვინდა, ერთხელ ხომ ჩავატარეთო, მაგრამ უცებ „პრეზიდენტი“ რომ გახდა, ეტყობა, რუსებმა ზეწოლა განახორციელეს და ახლა ამბობს, კი, რეფერენდუმი უნდა ჩავატაროთო. ყველაფერი ეს, ნათელი მაგალითია.

– როდესაც ინფორმაცია გავრცელდა, რომ ცხინვალის „არჩევნებში“ ე.წ. ოპოზიციურმა ლიდერმა გაიმარჯვა, შესაძლოა, საქართველოში ამან იმედი გააჩინა, რომ ვითარება ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვლება, თუმცა როგორც თქვენი საუბრით ვხვდები, ასე სულაც არაა...

– ვინც ასე ფიქრობს, სიტუაციას საერთოდ არ იცნობს.

– ე.ი. გაგლოევიც, ბიბილოვის მსგავსად, „რუსეთის კაცია“, არა?

– ნახეთ გაგლოევის ბიოგრაფია. ის იყო „კა-გე-ბე“-ს თანამშრომელი ცხინვალში...

– თავად ბიბილოვმა მიულოცა გამარჯვება და არც კი გაუპროტესტებია დამარცხება. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ამჯერად, რუსეთმა ფსონი გაგლოევზე დადო...

– რუსები როგორ თამაშობენ, იცით? – ერთიც მაგათია და მეორეც, სხვა არავინ მონაწილეობს „არჩევნებში“. საინტერესო ისაა, რომ ქართული ხმებით წყდება ყველაფერი ეს და აქედან უნდა გავაკეთოთ დასკვნა.

– „ჯემნიუსის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში წერია მოსაზრება, რომ ბიბილოვის მარცხი, ძირითადად, ფინანსურმა საკითხმა გამოიწვია, რაც შეეხება კონტრაბანდულ სიგარეტს, ასევე „ქართველებისთვის ტერიტორიების დათმობამ“, იგულისხმება წნელისთან საგუშაგოს გახსნა...

– არა, უბრალოდ, კრიმინალურ ფულზე მიდის ბრძოლა, ვინ გაიყოფს „ატკატებს“.

მარტივ მაგალითს გეტყვით: დე ფაქტო არჩევნების ღამეს, ე.წ. პრეზიდენტის საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, გაგლოევი აპირებს, ცხინვალი მიუერთოს საქართველოს და ის საქართველოს სპეცსამსახურებით იმართებაო, მაგრამ ზუსტად ორი საათის შემდეგ, ეს ინფორმაცია გაქრა, მოხსნა ბიბილოვმა.

– ალბათ, არ „იმუშავა“ ამ მეთოდმა...

– დიახ, ასეთი გადაბრალებები იციან, თორემ რა ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, ხომ ხვდებით, რომ მარაზმია, ყველაფერი ეს?

გაგლოევის მართვა კი არა, სანქცია ვერ გასცეს და დღე-დღეზე ანექსიას მოაწყობს გაგლოევი!

– ბატონო პაატა, ე.წ. რეფერენდუმის ჩატარებას ადრეც გეგმავდა ბიბილოვი, თუმცა არ განხორციელდა. ახლა რომ ჩატარდეს, ამით რა შეიცვლება?

– აქ პრინციპულად მნიშვნელოვანი ისაა, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ ანექსია და ელოდებიან მომენტს. აქედან გამომდინარე, სამართლებრივ დოკუმენტებს ამზადებენ. ამიტომ ვსაუბრობ ამაზე, რადგან 30 წლის წინ, ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, აფხაზეთში არ დაბრუნდებიო, გამეცინებოდა. დღეს კი არავინ ლაპარაკობს ეთნიკურ წმენდაზე, რაც აფხაზეთში მოხდა. გამოდის, რომ რუსეთმა თუ მიიერთა ეს ტერიტორიები, 30 წლის შემდეგ რა იქნება, არ ვიცი.

ამიტომ ინტერპოლის მიერ ძებნილი უნდა იყოს გაგლოევი და ყველა ის, ვინც ანექსიას მოაწერს ხელს და ამისთვის თუნდაც წლების მერეც დადგება პასუხისმგებლობის საკითხი, თორემ 30 წლის შემდეგ იტყვიან, თქვენ, ქართველებს, არავისზე სანქცია გაგიციათ, ეთნიკური წმენდა არ იყოო და დამთავრდება ყველაფერი.

დასასრული მე-5 გვერდზე

ბრძოლა კრიმინალური ფულისთვის ოკუპირებულ ცხინვალში

მე-4 გვერდიდან

– ყველაზე ცუდი სცენარი რომ წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, ჩაატარეს ეს „რეფერენდუმი“ და გადაწყვიტეს ანექსია, ასეთ შემთხვევაში, ცხინვალის ადგილობრივი ე.წ. ხელისუფლება გაუქმდება და მიუერთდება რუსეთს?

– როგორც სევასტოპოლია, ისე იქნება... რუსეთი რას გააკეთებს, ამას მნიშვნელობა არ აქვს, რეფერენდუმის ჩატარება ნიშნავს ანექსიისთვის მზადებას და მხოლოდ ხელმოწერაღა დარჩება.

– პუტინის მიერ ხელმოწერა, არა?

– დიახ, პუტინის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „პრეზიდენტის“ მიერ. ამიტომ ვამბობ, რომ პუტინი უნდა იჯდეს ინტერპოლით ძებნილთა მაგიდაზე, ამას კი სჭირდება ფურცელი და პასტა...

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ რა თქმა უნდა, გმობს ყოველნაირ დე ფაქტო არჩევნებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორც მივხვდი, ასეთი განცხადებები საკმარისად არ მიგაჩნიათ, ასეა?

– არა, რა თქმა უნდა, ამაზე უფრო ძლიერ განცხადებას მე და თქვენც გავაკეთებთ და რა, მერე?...

– ახლა, როცა უკრაინაში ომი მძვინვარებს, რამდენად სცალია დასავლეთს ჩვენთვის? შესაძლოა, უხეში ფორმით ვსვამ კითხვას, მაგრამ ფორმულირებას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მთავარი კითხვის არსია...

– ძალიან სწორად სვამთ კითხვას! არ ვიცი, სცალია თუ არა და არც მაინტერესებს! ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზეა საუბარი და უნდა მოიცალოს, მაგრამ მე თუ ხმა არ ამოვიღე, ამისთვის არავინ მოიცლის, უკრაინა ამის მაგალითია.

– სხვათა შორის, არსებობს მოსაზრება, რომ შეესაძლოა, რეფერენდუმი ჩატარდეს, მაგრამ ანექსიის საკითხი გადაიწევს იქამდე, სანამ უკრაინა-რუსეთის ომი არ დამთავრდება და ეს პერიოდიც გამოსაყენებელია, როგორც ჩანს...

– რა თქმა უნდა, რეფერენდუმი არის მზადება და დარჩება მხოლოდ პუტინის და პირობითად, გაგლოევის ხელმოწერა. შეიძლება, ერთ დილასაც გავიღვიძოთ და ეს ხელმოწერა დაგვხვდეს.

– მოკლედ, მიიჩნევთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყოველნაირი დიპლომატიური ბერკეტი უნდა გამოიყენოს, რომ დასავლეთთან საკითხის სიმწვავე ადეკვატურად წარმოაჩინოს, არა?

– დიახ და სამართლებრივი ბერკეტიც ეს არის, ამოსავალი წერტილი. სხვა ბერკეტი არ გვაქვს. ნახეთ, რა ხდება სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებაზე უკრაინაში, ეს ჩვენც შეგვიძლია გავაკეთოთ. მით უმეტეს, რომ ჰააგის სასამართლომ სანქციები მინძაევზე და სხვებზე უკვე გასცა. მინძაევზე ჩემ მიერ მიწოდებული ჩანაწერი რომ არ ყოფილიყო, არც ეს სანქცია გაიცემოდა.

– საინტერესოა ეს საკითხიც, როგორც ამბობდით, სხვა პირებზეც იყო მოსალოდნელი ჰააგის სასამართლოს მიერ სანქციების გაცემა. რა სიახლეა ამ საქმეში?

– ჯერ უნდა დააკავონ ეს პირები, მათ ჩვენებები მისცენ და ა.შ. მოკლედ, პროცესი გრძელდება და ამიტომ, ჩვენ მხარესაა ყველაფერი და უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი. თუ მინძაევზე ჰააგის სასამართლომ გასცა სანქცია, საქართველოს პროკურატურამ რატომ არ უნდა გასცეს?

– როგორც ყველა ხვდება, საქართველოს ხელისუფლება ძალიან ფრთხილ პოლიტიკას ირჩევს მოცემულ ვითარებაში...

– ძალიან ფრთხილ პოლიტიკას აზრი იმ შემთხვევაში აქვს, თუ ემზადები, ხოლო თუ არ ემზადები, დაგემართება ის, რაც იანუკოვიჩს დაემართა.

– ბატონო პაატა, მნიშვნელოვანია ვითარებაც აფხაზეთში...

– დღეს ცხინვალს მიიერთებდნენ უპრობლემოდ, აფხაზები რომ იყვნენ მზად ამისთვის. აფხაზები დიდ წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება, რადგან იქ ე.წ. საპრეზიდენტოდ ამზადებენ ინალ არძინბას. 2 წელი რჩება 35 წლამდე, რომ გახდეს დე ფაქტო პრეზიდენტი. იმედს ვიტოვებ, რომ აფხაზები ივარგებენ 2 წლის შემდეგაც და მაგას არ მოუშვებენ.

– ინალ არძინბა რომ გახდეს „პრეზიდენტი“, ანექსიას ხელს მოაწერს?

– დიახ, მაშინვე.

– როგორც ჩანს, აფხაზეთშიც და ცხინვალშიც იმაზე რთულია ვითარება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს...

– ძალიან... ჩვენ კი გვძინავს! ჩვენი განცხადებები სუფრაზე ნათქვამ სადღეგრძელოებს ჰგავს, არადა, მსოფლიო შეიცვალა... მოლდოვას თუ შეუტიეს, ხომ ხვდებით, რა შეიძლება, მოჰყვეს ამას? ჩვენი ბედი დღეს ოდესაში წყდება.

გუშინ, აფხაზეთში სეპარატისტების ე.წ. მთავრობის სხდომა ჩაატარეს და გადაწყვიტეს, რომ ოჩამჩირის სამხედრო პორტი მისცენ რუსებს, რომ რუსული საზღვაო სამხედრო ბაზა შეიქმნას. ხვდებით, რაზეა საუბარი?! ანაკლიის გვერდით და პირველად თქვენ გეუბნებით ამას! ოჩამჩირეში იყო ძველი საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზა, რომელსაც აფხაზები აკონტროლებდნენ. სამი წლის წინ, გაწმინდეს ტერიტორია და ვამბობდი, რომ რაღაცისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია ამას. გუშინ კი გადაწყვიტეს, რომ ამ სამხედრო პორტს რუსეთს გადასცემენ, საიდანაც მოთხოვნაა, რომ რუსული სამხედრო ძალები განლაგდნენ ოჩამჩირეში.

– ეს შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს საქართველოს, თუ რუსეთს გათვლა უკრაინაზე აქვს, ახლა?

– უკრაინაზეც და საქართველოზეც, რომელი ანაკლიის პორტის მშენებლობაზე იქნება საუბარი, როდესაც სამხედრო ესკადრილია და ფლოტის ნაწილი დადგება ანაკლიიდან 50 კილომეტრში, რომელი გემი შემოვა აქ?!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„მკითხეს, გიჟი ხარო და ვუპასუხე, კი-მეთქი!“

„ჯიგრებო, თქვენი არაფერი გვინდა, მხოლოდ მიწა მოგვეცით“ – გიგა მაქარაშვილის ინიციატივით, ბუჩაში სკოლა აშენდება

„შევთანხმდით, შევთანხმდით, ყვეეეელაფერზე შევთანხმდით. მოგვცეს ყველაზე ძვირადღირებული მიწის 3 ჰექტარი ცენტრალურ სკვერთან, ტბის სიახლოვეს, რეგიონში საუკეთესო სკოლისა და ბაღის ასაშენებლად. ფოტოზე რომ კაცს ხედავთ, ბუჩას მერია, წამით რომ არ დატოვა ქალაქი და ყველა ბუჩელს რომ ოჯახის წევრივით უყვარს, ის კაცი! სულ გულში მკოცნა, მარტო ქართველებს მოგივათ ეგეთი იდეებიო! ახალ შენობებს ქართულ ზღაპარს დავარქმევთო. ჩემო კარგო ქვეყანავ!“ – დაწერა რამდენიმე დღის წინ, სამოქალაქო აქტივისტმა, გიგა მაქარაშვილმა სოციალურ ქსელში...

ცნობისთვის: უკრაინის ქალაქ ბუჩაში, საბავშვო ბაღის აშენების იდეა მაქარაშვილმა სოციალურ ქსელში, დაახლოებით, ერთი თვის წინ გააჟღერა, რასაც ქართული საზოგადოება დიდი იმედითა და მხარდაჭერის სურვილით შეხვდა. ქართველი ერი უკრაინაში პირველ ბაღსა და სკოლას რომ ააშენებს, თავისთავად, გენიალური იდეაა და გასაკვირი არ იყო, რომ ამ ინიციატივას გამოხმაურებაც მასშტაბური მოჰყვებოდა...

„ვერსია“ უკრაინაში, გიგა მაქარაშვილს დაუკავშირდა და ბაღისა და სკოლის აშენების დეტალებზე ინტერვიუ ჩაწერა (სტილი დაცულია)...

– გიგა, სკოლისა და ბაღის აშენების იდეა როდის გაგიჩნდათ?

– იდეა გაჩნდა, რადგან მქონდა სურვილი, რომ რაღაც კარგი გაგვეკეთებინა უკრაინელებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა დავრწმუნდით, რომ ჩვენი ხელისუფლება, პირიქით, მონდომებული იყო, არ გვქონოდა მსგავსი მასშტაბური მხარდაჭერა.

პირველ ეტაპზე, პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე ვიყავი და იქიდან დაბრუნებისას მივხვდი, რომ მეტი შეეძლო, გაეკეთებინა ჩვენს საზოგადოებას უკრაინიელებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვინერვიულე და ვიწვალე, გამეჟღერებინა თუ არა ეს ინიციატივა, რადგან ალბათ, გესმით, რომ ეს არაა 100 და 200-ლარიანი პროექტი – ძვირადღირებული, მასშტაბური პროექტია... საბოლოოდ, ჩამოვედი უკრაინაში, რათა ჩემი იდეა, რომელიც ბევრი ადამიანის სურვილად იქცა, მექცია საქმედ.

ერთი თვის შემდეგ მივაღწიე იმას, რომ გვაქვს მშენებლობის ნებართვა; ადგილი – 3 ჰექტარი მიწა ბუჩას ეროვნულ პარკთან; სკოლისა და ბაღის შეთანხმებული კონცეფცია და მთელი სისწრაფით მიდის გეოდეზია-ტოპოგრაფიის სამუშაოები იმისთვის, რომ არქიტექტორებმა თბილისში გააგრძელონ მუშაობა და დროულად განხორციელდეს პროექტი, რომელსაც ჩამოვიტანთ ბუჩაში.

– შენობების არქიტექტორი ვინ არის?

– თაკო ვალიშვილი და მისი კომპანია. ზოგადად, ვიცოდი, რომ ბევრი ჭკვიანი ადამიანი გვყავდა საქართველოში, მაგრამ ამდენი თუ იყო სხვადასხვა სფეროში, ვერ წარმოვიდგენდი...

მართლა არ ჩერდება ტელეფონი, მეილი... ბევრი ადამიანი გვთავაზობს სხვადასხვა სახის დახმარებას. ზოგი ფიზიკურად ერთვება საქმეში, ზოგი რაღაცას იაფად გვაყიდინებს, ზოგი რაღაცას გვაძლევს და მგონია, რომ ბევრი ადამიანის ჩართულობა გამოვა...

პროექტი რომ გამოვა, ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ მთავარი ამბავიც ისაა, რომ გარდა იმისა, ამ საქმეს ქართველი ხალხის გაკეთებული უნდა დაერქვას, ამასთან ერთად, დიდი სურვილი მაქვს, ბევრი ქართველი, რომელიც საზიზღარი პოლიტიკური პოლარიზაციის გამო, ერთმანეთისგან შორს დგას, ახლა, ერთად დადგება და გადმორიცხული თუნდაც 1 ლარით, ერთად გავაკეთებთ ამ კარგ საქმეს.

– როდის დაიწყებთ თანხის შეგროვებას?

– შეგნებულად არ დავიწყეთ ჯერ თანხის შეგროვება, სანამ პროექტირება არ დასრულდება. პროექტირების დასრულებას აუცილებლად სჭირდება მიწის ზუსტი ანალიზი. ზუსტი ბიუჯეტი სანამ არ მექნება, უბრალოდ, არ ვიცი, რა თანხა დაგვჭირდება.

მიუხედავად ამისა, უკვე ათასობით ადამიანი წერს, ანგარიშის ნომერი დადეთ, რომ თანხა ჩავრიცხოთო. ამ თვის ბოლოს, საერთაშორისო ფონდი ჩადგება ფულის შეგროვების საქმეში, პროცესს გააკონტროლებს, ასევე, საერთაშორისო აუდიტორული კომპანია. ასე სჯობს, ასეთი მსხვილი პროექტები არ უნდა დააყენო საფრთხის ქვეშ. ვინმეს რომ თუნდაც 1 ლარზე გაუჩნდეს კითხვა, ამაზე აუცილებლად უნდა იყოს პასუხი და ერთი ადამიანის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის კონტროლი ცოტა რთულია ხოლმე, ამიტომაც საერთაშორისო ფონდებთან და აუდიტორულ კომპანიებთან ვურთიერთობთ, რომლებიც გააკონტროლებენ ამ თანხებს და მუდმივი პერიოდულობით გამოაქვეყნებენ ხარჯის ანგარიშს.

ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ როგორც იდეაა ძალიან კარგად ჟღერადი, ასევე, ლამაზად წავა მთელი პროცესი.

– მისასალმებელია, რომ ასე გამჭვირვალედ აპირებთ ამ პროექტის განხორციელებას. გიგა, იმაზეც მიამბეთ, როგორ დაგხვდნენ და მიიღეს ეს იდეა უკრაინაში? ბუჩას მერს თავად გააცანით ინიციატივა?

– ცოტათი დაუჯერებელი იყო, აშკარად. არ ეჯერათ, რომ ოფიციალური პირი კი არა, ვიღაც ტიპი ჩამოდის, ამბობს, ქართველი ვარო... (გადაამოწმეს და ნახეს, რომ ქართველი ვარ) და ეუბნება, ჯიგრებო, თქვენი არაფერი არ გვინდა, მხოლოდ მიწა მოგვეცით, რომ საბავშვო ბაღი და სკოლა ავაშენოთო – რომ წარმოიდგინოთ, ცოტა რთული დასაჯერებელია.

– დიახ, თან, ომის დროს...

– კი... გიჟი ხარო? – მკითხეს, კი-მეთქი და კარგიო (იცინის)...

ქართველები ძალიან ვუყვარვართ და მიუხედავად იმისა, რომ მართლა ძალიან შერცხვენილები ვართ, სახელმწიფოს დონეზე ვგულისხმობ, თორემ ქართველმა ხალხმა მართლა საოცრება გააკეთა, ამ წუთამდე, ყველაზე მეტი საფოსტო გზავნილი, სწორედ საქართველოდანაა. მკაცრადაა გასამიჯნი ხალხი და ხელისუფლება. მთელი ცხოვრებაა, იმას „ვაჩმახებდით“, ორი რუსეთი არ არსებობს, ერთია და ერთნაირად ცუდია-თქო და ახლა დაგვიდგა რეალობა, რომ უცებ „გაიჩითა“ ორი საქართველო – „ქართული ოცნების“ და „დანარჩენი საქართველო“. „ქართული ოცნების“ საქართველო, რომელიც არაფერს აკეთებს, რომ ჩვენს მეგობარ ქვეყანას გვერდით დაუდგეს, დანარჩენები კი ხელისუფლების საქმის გამოსწორებასაც ვცდილობთ და ჩვენს საქმესაც ვაკეთებთ...

– გიგა, ბუჩაში, ინიციატივაზე მაშინვე დაგთანხმდნენ?

– იმავე წამს. აქ მხოლოდ ბაღის აშენების ინიციატივით ჩამოვედი, მაგრამ მორიდებულად მკითხეს, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ შენობის ნაწილში სკოლაც განთავსდესო?

ბუნებრივია, ეს იმას ნიშნავდა, რომ სკოლის საჭიროება უფროა. მაშინვე დავიწყე გადარეკვა-გადმორეკვა, რაღაცები დავთვალეთ და გადავწყვიტე, რომ საქმეში შემოვიდეს ქართული ბიზნესი ანუ ბუჩაში ბაღს ააშენებს ქართველი ერი და ბიზნესი ააშენებს სკოლას.

– ქართულ კომპანიებთან უკვე გაქვთ კომუნიკაცია და თანხმობა ამ საკითხზე?

– კი, ძალიან დიდია მათგან სურვილი, რაც მაძლევს იმის იმედს, რომ ეს პროექტი, ძალიან ლამაზად და გემრიელად, ბოლომდე შესრულდება. ჩვენ კი მივალთ ყველგან, მაგრამ ხალხს და კომპანიებს თუ ინტერესი არ ექნებათ, ძალიან ძნელი იქნება...

– მინდა, გითხრათ, რომ საზოგადოებაში ბევრი იწონებს თქვენს იდეას პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად და დარწმუნებული ვარ, ამ სკოლისა და ბაღის მშენებლობაში, სრულიად ქართველი ერი ჩაერთვება... რა სახელს არქმევთ? გამოკითხვას ატარებდით და მგონი, „აი, ია“ გადაწყდა, არა?

– ჯერ არ ვიცით, ვერ შევჯერდით, გამოკითხვაში „აი, ია“ ლიდერობდა, მაგრამ კიდევ ველოდებით იდეებს, რადგან „აი, ია“ კარგად ჟღერადია, ჩვენთვის – ქართველებისთვის სიმბოლურია, მაგრამ საერთოდ არაფერს ნიშნავს უკრაინელებისთვის. ვფიქრობ, ისეთი ვერსიაც გამოჩნდება, რომელიც უკრაინულადაც იქნება ფუნქციურად და თემატურად დატვირთული და რაღაც კავშირი იქნება ქართველებსა და უკრაინელებს შორის. არ ვიცი, ასეთი სიტყვა თუ არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ დრო გვაქვს საამისოდ და შეიძლება, ეს საქმე თავად უკრაინელებს მივანდოთ...

– თქვენი გათვლით, უშუალოდ, მშენებლობის პროცესი როდის დაიწყება?

– ვფიქრობ, ორ-სამ თვეში დაიწყება, სექტემბერში უკვე გახურებულ მშენებლობაში ვიქნებით... მთავარია, რომ შენობას ჰქონდეს თავშესაფარი, ბომბებისგან დაცული, რადგან როცა რუსეთი გყავს მეზობლად, ეს აუცილებლად საჭიროა. ჩემი სურვილია, რომ ამ თვის ბოლოს, ბევრმა ქართველმა და უკრაინელმა ბუჩაში ეს ლამაზი შენობები გავხსნათ. ზეიმი თუ არ გამოვა, ისე გავხსნათ, **როგორც იმდროინდელ უკრა**ინას ენდომება.

– წარმატებებს გისურვებთ, ამ კარგ საქმეში!

გადაწყვეტილება მიღებულია – ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიები ქონების გადასახადისგან გათავისუფლდებიან

მაკა რუხაძე

პრემიერის ახალი ინიციატივები

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ტურისტული სექტორის განვითარებით დაინტერესდა. COVID-19-ის პანდემიის გამო, მსოფლიოს ეკონომიკა და განსაკუთრებით, ტურიზმის სექტორი საგრძნობლად დაზარალდა. ბუნებრივია, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს ზარალი ბევრად უფრო მასშტაბური აღმოჩნდა. ახლა, როცა მთელი მსოფლიოს ძალისხმევით, პანდემია, ლამის, კოშმარულ მოგონებად იქცა და თითქმის დამარცხდა კიდეც, სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც ტურისტული სექტორი ნელ-ნელა ძალებს იკრებს. ბუნებრივია, მთავრობის კანცელარიაში მოქმედი ეკონომიკური საბჭოს სხდომა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაშია, ტურიზმის აღორძინებას და ამ მიზნით, პრემიერის ახალ ინიციატივებს მიეძღვნა.

ეკონომიკური საბჭოს შეხვედრაზე, ეკონომიკური ზრდის პოზიტიური მაჩვენებლები და ტურიზმის აღდგენის მზარდი დინამიკა განიხილეს. მთავრობის მეთაურმა, ირაკლი ღარიბაშვილმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და კონკრეტული უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებსა და ღონისძიებებზე იმსჯელა. საბჭოს წევრების განცხადებით, კვირის განმავლობაში, 400-ზე მეტი ავიარეისია დაგეგმილი. რაც შეეხება აჭარის რეგიონს, ტურისტული აქტივობა იქაც მზარდი ტემპით ხასიათდება – ყოველთვიურად, რეგიონში, 220-ზე მეტი ავიარეისი შესრულდება.

სამუშაო შეხვედრაზე, მთავრობის მეთაურმა მოისმინა ინფორმაცია ტურიზმის აღდგენასთან დაკავშირებითაც. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, ამ მხრივ, მიმდინარე დინამიკა დამაიმედებელია. კერძოდ, ლევან დავითაშვილის განცხადებით, 2019 წელთან შედარებით, ტურიზმის 70%-იანი აღდგენა პროგნოზის მიხედვით მიმდინარეობს.

გარდა ამისა, მიუხედავად რეგიონში არსებული სიტუაციისა, ქვეყნის სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის მომარაგების თვალსაზრისით, შეფერხება არ არის. საუბარი შეეხო ლოგისტიკურ საკითხებს, სატრანსპორტო ნაკადებსა და ტვირთნაკადებს, რომელიც საქართველოში მზარდია და კიდევ უფრო მეტ კოორდინაციას მოითხოვს.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ქვეყანას აქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და ტურიზმის აღდგენის 70%-იანი მაჩვენებელი 2019 წლის შემდგომ, თუმცა საჭიროა, კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რომ აღნიშნული შედეგები თითოეული მოქალაქისთვის ხელშესახები გახდეს. ეკონომიკური საბჭოს წევრებმა ტურიზმის მზარდ დინამიკასა და სამომავლო პერსპექტივებზეც ისაუბრეს და კურორტების განვითარების გეგმაც განიხილეს.

„ძალიან გვახარებს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში, ტურისტების რაოდენობა დღითი-დღე იზრდება. ძალიან ბევრი ტურისტი შემოდის, ბათუმი კი, რომ იტყვიან, ერთ-ერთი ვარსკვლავია ამ მიმართულებით. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი, დიდი პროექტების დაწყებას ვგეგმავთ აჭარის რეგიონში, გურიაში და ყველგან. ძალიან გვიხარია, რომ ტურიზმის აღდგენა, პრაქტიკულად, ძალიან მაღალი ტემპით მიმდინარეობს. თუ შევადარებთ 2019 წლის მონაცემებს, თითქმის 70%-ითაა აღდგენილი ტურიზმი და ეს ძალიან სასიხარულო მონაცემებია. ასევე, მინდა საზოგადოებას შევახსენო, რომ ჩვენ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. თუ შევხედავთ, რა ხდება მსოფლიოში და აღარ მაქვს საუბარი უბედურებაზე, რაც ხდება უკრაინაში – დამანგრეველი ომი და ომის შედეგებით გამოწვეული ეს უბედურება, ეს ნეგატიური ტალღა მთელ ევროპასა და მსოფლიოში ვრცელდება.

რა თქმა უნდა, გვახარებს ეკონომიკური ზრდა, მაგრამ ეს შემთხვევით არ ხდება, მეგობრებო. ეს არის ჩვენი გააზრებული, გონივრული და პრაგმატული პოლიტიკის შედეგი, რომ ერთი მხრივ, შევინარჩუნოთ მშვიდობა, სამშვიდობო პოლიტიკა და გრძელვადიანი სტაბილურობა, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შევუწყოთ ეკონომიკის განვითარებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, რეგიონების განვითარებას, გამოცოცხლებას, ტურიზმს, ვაჭრობას“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიები ქონების გადასახადისგან გათავისუფლდებიან.

„კორონავირუსის პანდემიის გამო, ყველაზე მეტად, სწორედ ტურისტული სექტორი დაზარალდა. საქართველოს ხელისუფლებამ ტურიზმის აღსადგენად ამ სფეროს წარმომადგენელ კომპანიებს შეღავათები გაუწია და დახმარების სპეციალური სახელმწიფო პროგრამები შეიმუშავა. ჩვენ შევისწავლეთ აღნიშნულ სექტორში არსებული სიტუაცია. გამოწვევები, რომლებიც ამ სექტორს დაუგროვდა. ბუნებრივია, კორონავირუსის გამო, ყველაზე მეტად ტურისტული სექტორი დაზარალდა, მათ შორის, სასტუმრო და სარესტორნო ინდუსტრია. ამიტომ, მთლიანობაში, 2021 წლის ქონების გადასახადს აღნიშნული სექტორი აღარ გადაიხდის“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, ქონების გადასახადისგან გათავისუფლება ტურისტული სექტორის წარმომადგენლებისთვის არსებითი დახმარება იქნება. საქართველოს ხელისუფლებამ ტურიზმის დახმარება 2020 წელს, პანდემიის დაწყებისთანავე დაიწყო.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ქონების გადასახადისგან ერთჯერადად გათავისუფლდება:

სასტუმროებისა და სხვა განთავსების მსგავს საშუალებებში, ასევე, დასასვენებელ და სხვა მოკლევადიან განთავსების საშუალებებში გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

რესტორნებსა და საკვებით მობილურ მომსახურებაში გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

სასმელებით მომსახურების საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორებისა და დაჯავშნის სხვა მომსახურებასა და მათთან დაკავშირებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

საგადასახადო შეღავათი გავრცელდება იჯარით, ლიზინგით, ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზეც, თუ ეს ქონება რომელიმე, აღნიშნულ საქმიანობაში გამოიყენება.

ხელოვნურად შექმნილი აჟიოტაჟის კულუარული დეტალები – მიზეზი, რის გამოც 1 მაისიდან პური გაძვირდა!

მაკა რუხაძე

ხორბლისა და ფქვილის იმპორტიორების მოთხოვნას, იმპორტირებულ ფქვილზე გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საკმაოდ მკაცრად უპასუხა. მეტიც, ირაკლი ღარიბაშვილმა დარგის წარმომადგენლების ამ მოთხოვნა ხელოვნურად შექმნილი აჟიოტაჟი უწოდა და ფართო აუდიტორიას განუმარტა, რომ ქვეყანას საკმარისი მარაგი აქვს, როგორც ხორბლის, ასევე, ფქვილის. პრემიერ-მინისტრის მკაცრ ტონს საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის განცხადება მოჰყვა. მოკლედ, ბიზნესისა და ხელისუფლების „პასუხის პასუხებში", როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხი დაზარალდა – 1 მაისიდან, პური 8 თეთრით გაძვირდა!

რატომ დაუპირისპირდა პრემიერ-მინისტრი წისქვილკომბინატების წარმომადგენლებს

ეს პრობლემა გუშინ და გუშინწინ, მით უმეტეს, რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო არ დაწყებულა. რუსეთ-უკრაინის ომი იმიტომ ვახსენე, რომ ორივე ქვეყანა საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია და რაც მთავარია, ხორბლის იმპორტიც ჩვენს ქვეყანაში, სწორედ უკრაინიდან და რუსეთიდან ხორციელდება, მერე მოდის ყაზახეთი, აშშ და კანადა... მოკლედ, პრობლემა გაცილებით ადრე, მიმდინარე წლის დასაწყისში ანუ იანვარში დაიწყო, როდესაც წისქვილკომბინატების ხელმძღვანელებმა მთავრობას ფქვილის იმპორტზე „სარკისებური" საბაჟო გადაახადის დაწესება მოსთხოვეს. საკუთარი მოთხოვნა კი ერთადერთი არგუმენტით გაამყარეს – წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში მცირე კი არა, მსხვილი წისქვილებიც დაიხურებაო.

„ჩვენი პრობლემა რუსული ხორბლის ტარიფები და მცურავი ბაჟია, რაც საკმაოდ აქტუალურია უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში. ჩვენ არაერთი შეხვედრა გვქონდა სამუშაო ჯგუფთან, რათა ადგილობრივი წარმოებისთვის არაკონკურენტული გარემო დაიძლიოს, რაც წისქვილკომბინატების ერთმანეთის მიყოლებით დახურვას და ქართული ფქვილის რუსულით ჩანაცვლებას იწვევს. ვითხოვთ, გადაიხედოს არსებული საგადასახადო მიდგომები და დაწესდეს „სარკისებური" ბაჟი იმპორტირებულ ფქვილზე ისე, როგორც ეს ხდება ხორბალზე", – ასეთი იყო წისქვილკომბინატების წარმომადგენელთა განცხადება.

მას შემდეგ, რაც ხორბლის იმპორტი ფქვილის იმპორტით ჩანაცვლდა, ამას რამდენიმე წისქვილკომბინატის დახურვა მოჰყვა. მართალია, დარგის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მათ „ებრძვიან", მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩანაცვლებას თავისი ახსნა ჰქონდა – პანდემია, „ლოქდაუნი" და ამისგან გამოწვეული პრობლემები. როგორ გგონიათ, მაშინ, როდესაც მთელი დედამიწა დაპაუზდა, აბსოლუტურად ყველა სახელმწიფომ „ლოქდაუნი" გამოაცხადა, საქართველოში წისქვილკომბინატებს სრული დატვირთვით უნდა ემუშავა? არადა, ხალხს უპუროდ ხომ არ დატოვებდნენ? ჰოდა, მოძებნეს გამოსავალი – ხორბლის იმპორტი ფქვილის იმპორტით ჩანაცვლდა. კი, ბატონო, წისქვილკომბინატები არა, მაგრამ „ლოქდაუნის" მიუხედავად, პურის ქარხნები არსად, არცერთ ქვეყანაში და მათ შორის, არც საქართველოში გაჩერებულა. პრობლემის ძირი და არსი ესაა და ყველაფერ ამის უარყოფა, უბრალოდ, უმადურობაა!

აქედან გამომდინარე, არავის აღარ უნდა გაუკვირდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მკაცრი ტონი. მისი თქმით, ქვეყანაში საკმარისზე მეტი მარაგი არსებობს, როგორც ფქვილის, ასევე, ხორბლის და სულ რაღაც ერთ თვეში, ან თვე-ნახევარში, ადგილობრივი ხორბლის მოსავალსაც ავიღებთ. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, აჟიოტაჟის არავითარი საფუძველი არ არსებობდა და იქვე დასძინა, რომ ეს აჟიოტაჟი ხელოვნურად იყო გამოწვეული:

პრემიერ-მინისტრის განცხადებას საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია გამოეხმაურა. მიმართვაში, რომელიც ასოციაციამ გაავრცელა, ვკითხულობთ, რომ აჟიოტაჟი მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტაციას მოჰყვა, რაც ცალკეულმა სააგენტოებმა სტატიების სათაურებში გამოიტანეს.

„გვინდა, გავაანალიზოთ მომხდარი, რათა შემდგომში მსგავსი გაუგებრობებებისგან საზოგადოებაც და ჩვენც დაცულები ვიყოთ. აღნიშნულმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ დღეს, უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენ, როგორც რესპოდენტებმა და პრესამ, როგორც ინფორმაციის გამავრცელებლებმა, საზოგადოებას სწორი და მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ. ეს განსაკუთებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება ისეთ აქტუალური თემებს, როგორებიცაა პურის ფასი, ხორბლისა და ფქვილის მარაგები. კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს სათანადო დონეზე ვერ მოხერხდა, რადგან პრობლემის ძირითადი მიზეზი იყო სათაურების სენსაციურობა, რაც არ შეესაბამებოდა მასალის შინაარსს. ჩვენი აზრით, სათაურებში არ იყო ასახული და სრულიად იყო დაკარგული ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ხაზი – მიუხედავად ხორბლის მარაგების ამოწურვისა და წისქვილკმბინატების გაჩერებისა, ქვეყანაში ხორბლის იმპორტი ფქვილის იმპორტით ჩანაცვლდა..." – აღნიშნულია განცხადებაში.

„საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორის, ლევან სილაგავას განცხადებით, მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან აქტიური მუშაობა ახლაც გრძელდება. მან წისქვილკომბინატების გეგმაზეც ისაუბრა, რათა მათი მუშაობა არ შეჩერებულიყო:

„საუბარი იყო იმაზე, რომ წისქვილკომბინატები, მათი მუშაობის სანაცვლოდ, გადასახადის შემოღებას ითხოვენ, რაც პურს გააძვირებს. არადა, წისქვილკომბინატებს ქვეყნის წინაშე საკმაოდ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა აქვთ და მათი ინდუსტრიის მუშაობის სანაცვლოდ, ქვეყნისთვის პურის გაძვირებას არ მოითხოვდნენ! საქმე ცოტა სხვანაირად იყო – ჩვენი გეგმა ხორბლისა და ფქვილის იმპორტს შორის დამაბალანსებელი გადასახადის შემოღებას გულისხმობდა. გადასახადი დღეს სხვადასხვაა და ზუსტად ამან გამოიწვია ის, რომ ხორბალი არ შემოდის და ფქვილი შემოდის. დაბალანსებული გადასახადი ძალიან სწორად გამოსახავს იმ შინაარსს, რომელსაც ვითხოვთ. ეს ნიშნავს, რომ ფქვილზე დაბალანსებული გადასახადის შედეგად, შესაძლებელია ფქვილისა და ხორბლის შემოტანის სწორი კონკურენციის პირობებში ჩაყენება. იმ პირობებში, რომელშიც მანამდე იყო, სანამ მცურავი ბაჟი შემოვიდოდა, მათ შორის, რუსეთის მიერ. შესაბამისად, თუ მაშინდელ სიტუაციას განვიხილავთ, საქართველოს ბაზარზე, პურის ქარხნებს 97% ადგილობრივი წარმოების ფქვილი მიეწოდებოდა, იმპორტირებული ფქვილი მხოლოდ 3% გახლდათ. სწორი კონკურენციის პირობებში, ადგილობრივი წისქვილების ინდუსტრიის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქედანაც კარგად ჩანს.

დამაბალანსებელი გადასახადის შემოღების შემთხვევაში, წისქვილკომბინატები ვალდებულებას იღებდნენ, რომ პური არ გაძვირებულიყო. ჩვენი ოთხპუნქტიანი გეგმის მიხედვით, თუ ფქვილზე დამბალანსებელი გადასახადი შემოვიდოდა, ვალდებულებას ვიღებდით, რომ ორი თვის განმავლობაში, პურის ქარხნებისთვის 1 ტომარა ფქვილი 70 ლარად მიგვეწოდებინა, რათა პური არ გაძვირებულიყო, ეს იყო თებერვალში. ასევე, წისქვილკომბინატები ვალდებულებას იღებდნენ, რომ ქვეყანაში ხორბლის ორთვიანი გარდამავალი მარაგები შექმნილიყო. სამინისტროში გვითხრეს, რომ მაშინ „პურის მწარმოებელთა ასოციაციამ" უფრო დაბალი ფასი მოითხოვა – 68 ლარი. შესაბამისად, მაშინ ეს სიტუაცია ჩაიშალა. მესმის, ბიზნესურად: მაშინ პურის მწარმოებლებს იმპორტირებულ ფქვილზე 68 ლარი ჰქონდათ, თუმცა თუ დღევანდელი გადასახედიდან შევხედავთ, მაშინ რომ ისინი დათანხმებულიყვნენ, ორივე ინდუსტრია იმუშავებდა, პურის წარმოებაც და ჩვენც. დღევანდელ სიტუაციაში ვხედავთ, რომ ფქვილის იმპორტმა პურის ფასი მაინც ვერ დაიჭირა და 1 მაისიდან, პური გაძვირდა. ფაქტობრივად, წისქვილკომბინატების გაჩერების სანაცვლოდ, პურის გაძვირება, ორი თვით გადაიდო", – განაცხადა სილაგავამ.

სამართალი

№20 25 მაისი 2022 წ

საშინელი რეალობა – ორ დღეში წართმეული ოთხი სიცოცხლე

ბათო ჯაფარიძე

ორ დღეში წართმეული ოთხი სიცოცხლე: ბორჯომში გარდაცვლილი მეთორმეტეკლასელი, ათარაში, ავარიის შედეგად გარდაცვლილი 11 წლის ბავშვი, კახეთში მოკლული ახალგაზრდა კაცი და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყელგამოჭრილი ქალი... 20 და 21 მაისი უმძიმესი იყო საქართველოსთვის, რადგან ერთ წამში, ოთხი სიცოცხლე გაქრა. შესაძლებელი იყო თუ არა რომელიმეს პრევენცია? – პრაქტიკულად, რთულია ამის მტკიცება, რეალურად კი... შესაძლებელი იყო.

რა ელის მამაკაცს, რომელმაც შვილების თვალწინ, ცოლს ყელი გამოსჭრა

ნამდვილად ვერ გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ცოლის მოკვლის გამო დაკავებული როინ მებონიას საქმეზე სასამართლო, მაგრამ ყველაფერ ამას, კიდევ ერთი უდიდესი ტრაგედია ახლავს – მშობლების კამათსა და ფატალურ შედეგს ორი მცირეწლოვანი უყურებდა და ამ ბავშვებს ახლა აღარც დედა ჰყავთ და აღარც – მამა.

ბავშვებთან ერთად, მკვლელობას უყურებდა გარდაცვლილის და, დისშვილები, რამდენიმე მგზავრი და... ერთ-ერთი მგზავრი ყველაფერს ტელეფონითაც კი იღებდა. არსებობს შესაძლებლობა, რომ მამის ფსიქიკური მდგომარეობა სასამართლომ საეჭვოდ მიიჩნიოს და მას ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდეს.

ციხეში რომ გაუშვამ, ასევე, ხანგრძლივი იქნება სასჯელის ვადა.

ცალკე საკთხია, როგორი ფსიქოლოგიური მდგომარეობა აქვთ ახლა ბავშვებს და რამდენ ხანს გაჰყვებათ სტრესი, რომელიც მიღეს?

გამორიცხულია, რომელიმეს თვალებიდან და ყურებიდან ამოვიდეს ის, რაც ნახეს და გაიგონეს – დედის განწირული ხმა და ბოლო ამოძახილი.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ კიდევ ერთმა, ცნობილმა და ძალიან კარგმა კაცმა, დეპრესიის გამო, თვითმკვლელობა გადაწყვიტა და საბედნიეროდ, გადაარჩნეს.

ჰო, თვითმკვლელობა გადაწყვიტა კაცმა, რომელიც გარედან ძალიან წარმატებული და რაც მთავარია, რეალიზებული ჩანდა, მას ჰქონდა საქმე, რომელიც უყვარდა და ძალიან უყვარდა, მაგრამ...

შედარებას გავაკეთებ და შესაძლოა, ამ შედარებისთვის ვინმემ გამკიცხოს, საბჭოთა კავშირზე ნოსტალგია დამწამოს, მაგრამ... ტელევიზიების ძველი თანამშრომლებიდან მაქვს მოსმენილი, რომ სუიციდს ან მის მცდელობას ტელევიზია, უბრალოდ, არ აშუქებდა. ამ ამბავს ტაბუ ედო და რაც მთავარია, მაქსიმალურად ცდილობდნენ სტატისტიკის დამალვას.

წარმოუდგენელია, 15 რესპუბლიკაში, წლის განმავლობაში, სუიციდის მხოლოდ 2-3 შემთხვევა რომ ყოფილიყო, მაგრამ სტატისტიკურად, სწორედ ასე აჩვენებდნენ მსოფლიოს და, პირველ რიგში, საკუთარ საზოგადოებას, რათა ეს პროცესი წახალისებული არ ყოფილიყო, რათა თვითმკვლელობის მოსურნეებზე დღეების, კვირეების განმავლობაში არ ესაუბრა მოსახლეობას, ყური არ მოეკრათ ბავშვებს იმისთვის, რომ ასეთი რამ შესაძლებელია.

იგივე ითქმის მკვლელობებზეც. ტელევიზია ამ ამბავსაც მაქსიმალურად მალავდა. ჰო, მალავდა იმიტომ, რომ ისევ და ისევ, წახალისება არ მომხდარიყო, თემის არსი არ გამხდარიყო მსჯელობის საგანი და არ ყოფილიყო პოპულარული ხალხში.

მაშინ არც სოციალური ქსელი იყო და არც – ინტერნეტი, ამიტომ დამალვა ადვილად შეიძლებოდა, ახლა კი, საინფორმაციო გამოშვებები აუცილებლად ნეგატივით იწყება – მოკლეს, დააყაჩაღეს, გაქურდეს...

არადა, ადრე, ოფიციალურად იყო აკრძალული საღამოს საინფორმაციოებში ნეგატიური ინფორმაციის გაჟღერება, რათა ადამიანებს მშვიდად დაეძინათ. ახლა კი, ნეგატიურ ინფორმაციაზე რეიტინგს დებენ ტელევიზიები და სოციალურ ქსელებში გავრცელებულ უმძიმეს დანაშაულებს ყველაზე მეტი ნახვა და კომენტარი აქვს.

ის, რომ სისხლით ვერ გაძღა კაცობრიობა, იქიდანაც ჩანს, რომ პრაქტიკულად ყოველ 4-5 წელიწადში ერთხელ, დიდი ომების მომსწრენი ვართ. ჰო, 21-ე საუკუნეში, თითქოს ცივილიზაციის უმაღლეს უმაღლეს მწვერვალზე, გასაყოფი არაფერი უნდა იყოს, მაგრამ...

უკრაინამდე იყო სირია, სირიამდე – ერაყი, მანამდე ავღანეთი, აფრიკის ქვეყნები... და საქართველო, სადაც 1991 წლიდან მოყოლებული, პრაქტიკულად, სულ ომია და ახლაც, ჩვენი ქვეყნის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია და ძნელად დასაჯერებელია, რომ ომით წართმეული უომრად დაბრუნდეს.

ისევ ქართველებზე ვთქვათ. სიღარიბემ და გაჭირვებამ საქართველო ლამის დაცალა. შესაძლოა, ვინმეს ძალიან ხმამაღალ ნათქვამად მოეჩვენოს, მაგრამ რომ ვიანგარიშოთ, შესაძლოა, ქვეყნიდან იმაზე მეტი ქართველი იყოს წასული, ვიდრე დღეს ცხოვრობს საქართველოში.

მილიონამდე ქართველი მხოლოდ რუსეთის ფედერაციაშია და მინიმუმ, ერთი ამდენი, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშია გაფანტული. აქეთ აშშ და... მხოლოდ ბოლო სამი თვის განმავლობაში, აშშ-ში წასვლა 4 ათასზე მეტმა ქართველმა სცადა, მათგან ნახევარზე მეტს გამოუვიდა იმ ჯოჯოხეთის გავლა, რასაც მექსიკის საზღვრის კვეთა და შემდეგ ერთი თვით ციხეში ყოფნა ჰქვია.

აგერ, უკრაინელმა სამართალდამცავებმა „კანონიერი ქურდი“, მამუკა ონიანი დააკავეს და ახლა იმაზე იმსჯელებენ, კანონის შესაბამისად, ციხე მიუსაჯონ თუ ქვეყნიდან გააძევონ.

საბრძოლო მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო დიდი შანსია, რომ ონიანს უბრალოდ, უკრაინა დაატოვებინონ.

„ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს, დაკავებულ იქნა რამდენიმე პირი, რომლებიც რუსეთთან კავშირში არიან მხილებული. აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში, შემთხვევით დავაკავეთ მოქალაქე, რომელსაც თან საბუთები არ ჰქონდა და მოგვიანებით გაირკვა, რომ ის „კანონიერი ქურდი“, მამუკა ონიანი გახლდათ. მას არანაირი შეხება არ აქვს ომთან და რუსეთთან, თუმცა უკრაინული კანონმდებლობით, კრიმინალური სამყაროს უმაღლეს საფეხურზე ყოფნა დასჯადია“, – ნათქვამია უკრაინის შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რუსეთზე ადრეც მოგახსენეთ, იქ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, რუს სამართალდამცავებს ახლა ყველაზე ნაკლებად, სწორედ კრიმინალთა დევნისთვის სცალიათ.

გაგიკვირდებათ და, ომის დაწყების შემდეგ, რუსეთში კრიმინალმა იკლო, რაზეც ექსპერტები ამბობენ, რომ აღნიშნული, სწორედ „კანონიერი ქურდების“ დაბრუნებას უკავშირდება. მათ მოახერხეს და წვრილმანი კრიმინალი საერთოდ აღკვეთეს, ხოლო დიდ საქმეებზე, ამ ეტაპზე, ხმამაღლა არავინ საუბრობს ანუ ომის პერიოდი კრიმინალებმა სათავისოდ ძალიან კარგად გამოიყენეს და გავლენის სფეროების აღდგენა კონკრეტულად რუსეთში დაიწყეს.

უკრაინაში ყველაფერი ეს არ გამოდის იმიტომ, რომ მთელი ქვეყანა ომშია, იარაღი იმდენად უკონტროლოა და ისეთი რაოდენობით ტრიალებს, რომ ვინ – ვის და სად ესვრის, არავინ უწყის.

საქართველოში ყველაზე უკეთ სიძულვილი შეგვძლებია და ეს ყოველდღიურად მტკიცდება. საქართველოში შეცოდებაც კი მაშინ იცის უმრავლესობამ, თუ ეს ყველაფერი შემდეგ გავრცელდება და შემცოდებელს ხოტბას შეასხამენ. ისე კი... ისე, ყველა მხრიდან, მხოლოდ ლაფი და ღვარძლი ისხმება.

სისხლიანი გარჩევა თბილისის ზღვაზე

მოლდოველმა ქალმა ბოშა დაჭრა

ბათო ჯაფარიძე

პროფესიონალი „ქილერები“ შეკვეთის შესრულების შემდეგ, იარაღს ადგილზე ტოვებენ. ეს მაშინ, როცა საქმე პროფესიონალებთან გვაქვს, რადგან რაც უნდა ძვირადღირებული იყოს შაშხანა ან პისტოლეტი, რომლითაც კონკრეტულ პიროვნებებს კლავენ, „ქილერს“ იმაზე ბევრად მეტი აქვს მიღებული. მკვლელობის იარაღის ადგილიდან წაღება იმას ნიშნავს, რომ რჩება ალბათობა, ამ იარაღიდან კიდევ გაისროლონ და სამართალდამცავებს უკვე ეცოდინებათ, რა მიმართულებით უნდა იმუშაონ. არცთუ იშვიათად, „სველ იარაღს“ რიგითი კრიმინალებიც იშორებენ, რადგან სამართალდამცავებმა არ ნახონ და ახალ საქმეებთან ერთად, ძველი ცოდვებიც არ აჰკიდონ.

80-იანი წლების გარიჟრაჟზე, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, მეთევზეებმა დაჭრილი მამაკაცი იპოვეს და მაშინვე სასწრაფოში დარეკეს. სასწრაფოსთან ერთად, სამართალდამცავებიც მივიდნენ და მოწმეები დაკითხეს, დაჭრილის დაკითხვა კი ვერ მოხერხდა: ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ერთი კისრის მალებთან ჰქონდა გაჭედილი, მეორე – ფეხში და უგონო მდგომარეობაში იყო. სანამ წავიდოდნენ, სასწრაფოს ექიმმა ისიც თქვა, თუ ტყვიამ ზურგის ტვინი დააზიანა, შესაძლოა, ეს კაცი ინვალიდად დარჩესო.

მოწმეებმაც ბევრი ვერაფერი თქვეს, მიდიოდნენ სათევზაოდ, დაინახეს, კაცი ეგდო და სისხლში ცურავდა, ახლოსაც არ მივიდნენ, ისე დარეკეს სასწრაფოში. სამართალდამცავებმა ვერც ტყვიის ცარიელი მასრები ნახეს და ვერც – იარაღი. სავარაუდოდ, ისინი მსროლელმა წაიღო, რაც ძალოვნებს აფიქრებინებდა, რომ საქმე გამოცდილ კრიმინალთან ჰქონდათ.

იმავე საღამოს გაირკვა დაჭრილის ვინაობა. გაგიკვირდებათ და, იგი ერთ-ერთმა ექთანმა იცნო, ეს ბიჭი რკინიგზელთა კულტურის სახლში, ბოშების ანსამბლში, გიტარაზე უკრავსო და ძალოვნებიც ლოტკინზე, ბოშების დასახლებაში ავიდნენ. იქ უკვე ყველაფერი იცოდნენ, თუმცა ხმას არ იღებდნენ. მხოლოდ ის თქვეს, ერთი წლის წინ, მოლდავეთიდან (ახლანდელი მოლდოვა) ჩამოვიდა, აქ ანსამბლში მოეწყო, ცოლის მოყვანასაც კი აპირებდაო, თუმცა არც საცოლე ჰყავდა და არც – ბევრი მეგობარი. ძალოვნებს არც შურისძიების მიზეზი უთხრეს, მტერი არ ჰყოლიაო, მაგრამ აგენტურული ქსელის მიხედვით გაირკვა, რომ საყვარელი ჰყავდა და საყვარლის შვილი რამდენჯერმე მიუვარდა, დედაჩემს შეეშვიო, ბოლოს კი მოკვლითაც დაემუქრა. სამართალდამცავები ბიჭის მოსაძებნად წავიდნენ და... საავადმყოფოში მიაგნეს. მას აპენდიციტის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, მერე რაღაც გართულდა, ჭრილობა არ უხორცდებოდა და აგერ, უკვე, მეათე დღე იყო, ექიმების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა. მედიკოსებმა დაბეჯითებით თქვეს, დამოუკიდებლად ათ მეტრსაც კი ვერ გაივლის, გამორიცხულია, ეს შემთხვევის ადგილზე ყოფილიყოო.

დაჭრილს სხეულიდან „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან ნასროლი ორი ტყვია ამოუღეს. სანამ ტყვიებს ამოწმებდნენ, განყოფილებაში ერთ-ერთი მეთევზე მივიდა და იარაღი მიიტანა, როცა ზღვაზე ვთევზაბოდი, ბადეს ამოჰყვაო. იარაღი „მაკაროვის“ სისტემის იყო და იმის გათვალისწინებით, თუ სად იპოვა მეთევზემ, ადვილი მისახვედრი გახლდათ – ეს სწორედ ის იარაღი იყო, რომლითაც მამაკაცი დაჭრეს. იარაღზე სერიული ნომერი წაშლილი არ გახლდათ და სამართალდამცავებმა სიხარულისგან ლამის ტაში შემოჰკრეს – აღნიშნული იარაღი, დაახლოებით, ორი წლის წინ, მოლდოვაში ერთ-ერთ მილიციელს წაართვეს, შემდეგ ამ იარაღით ყაჩაღობა მოხდა, სადაც ქალი მოკლეს.

ცხადი იყო, დამნაშავე, რომელმაც ბოშა დაჭრა, მოლდოვაში მომხდართან კავშირში იყო და არც იმას გამორიცხავდნენ, რომ მამაკაცის მოსაკლავად სწორედ მოლდოვადან ჩამოსულიყვნენ. გადაამოწმეს მგზავრთა სია, რომლებიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში შემოვიდნენ მოძმე რესპუბლიკიდან საქართველოში და ყველას დამუშავება დაიწყეს. ერთკვირიანი ძებნის შემდეგ, სამართალდამცავებმა ხელები უმწეოდ გაშალეს – საეჭვო არავინ იყო და ძებნა ისევ ადგილობრივ კონტიგენტზე განაგრძეს.

პარალელურად, ქართველი ძალოვნები მოლდოველ კოლეგებს ეკონტაქტებოდნენ, მგზავრთა სიის გადამოწმებაც სთხოვეს, ვინმე ხომ არ იყო ისეთი, ვინც დაჭრილს იცნობდა ან რაიმე კავშირი ჰქონდა და პასუხიც მოვიდა – ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც საქართველოში, დაჭრამდე ორი დღით ადრე ჩამოვიდა, მოლდოვაში, სწორედ ამ კაცის მეგობარი გახლდათ და ისინი ერთად თითქმის ორი წელი ცხოვრობდნენ. ქალის დაკითხვა არ გამოდიოდა, ის უკვე სამშობლოში დაბრუნდა და ეს მისია მოლდოველმა გამომძიებლებმა იტვირთეს. დაკითხვის გარდა, ქალის ბინა გაჩხრიკეს და ნაპოვნი ნივთების სურათები ქართველ სამართალდამცავებს გადმოუგზავნეს. სურათებში განსაკუთრებული არაფერი იყო, თუმცა ფოტოები ბოშებს ანახეს და ჰკითხეს, ხომ არ იყო მათში რომელიმე ნივთი, რომელიც დაჭრილს ეკუთვნოდა. რამდენიმე ადამიანმა ხელი ოქროს საათს დაადო, ეს საათი მუდმივად თან ეკეთა, არ იშორებდაო. როცა ქართველმა გამომძიებლებმა მოლდოველ კოლეგებს ამის შესახებ ამცნეს, მათ უპასუხეს, რომ ყველაზე ნაკლებ ეჭვს, სწორედ საათი იწვევდა, რადგან ის ქალის გარდაცვლილ ქმარს ეკუთვნოდა. ქმარი წყალქვეშა გემზე მსახურობდა და კარგი სამსახურის გამო, სწორედ ამ საათით დააჯილდოვეს შესაბამისი წარწერით, რაც ადასტურებდა, რომ საათი ნამდვილად ქალის ქმრის იყო. ეჭვს არ იწვევდა ქმრის გარდაცვალებაც, ის რამდენიმე მეზღვაურთან ერთად, სამაშველო ოპერაციის დროს, წლების წინ, ზღვაში დაიხრჩო.

ქართველებმა მოლდოველებს პასუხად რამდენიმე სურათი გაუგზავნეს, სადაც ნათლად ჩანდა, რომ დაჭრილ ბოშას ხელზე, სწორედ ეს საათი ეკეთა. საათს ძალიან სპეციფიური სამაჯური ჰქონდა, შეიძლება ითქვას, უიშვიათესი ნაქსოვი და ამიტომ, დადასტურებულად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ საუბარი ერთსა და იმავე საათზე იყო. ქალი დაკითხვაზე დაიბარეს და მან თქვა, რომ საქართველოს ნახვა დიდი ხანია სურდა და ახლა, როცა დრო გამოუჩნდა, წავიდა და ნახა.

რაც შეეხება დაჭრილ ბოშას, აღიარა, რომ იცნობდა, ოღონდ წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ის საქართველოში იმყოფებოდა. საქმეში ქართველი გამომძიებლებიც ჩაერთვნენ და ისე, რომ მოლდოველ კოლეგებსაც არ უთხრეს, კიშინიოვში ფურცელი გაგზავნეს, სადაც ამ ქალის სახელი ეწერა და ისიც დააყოლეს, დაჭრილი აზრზე მოვიდა, ჯერ ვერ საუბრობს, მაგრამ ეს დაწერაო. ამის შემდეგ, დაკითხვაზე მყოფმა ქალმა ჩვენების მიცემა დაიწყო.

„დაჭრილს ვიცნობდი, უფრო სწორედ, ის ჩემი საქმრო იყო. ერთ დღეს, სახლში მისულმა აღმოვაჩნე, რომ ყველაფერი თავდაყირა იყო, მთელი დანაზოგი და ქმრის ოქროს საათი გაქრა. მერე გავიგე, ყაჩაღობა მოხდა და ეჭვი ბოშებზე ჰქონდათ. მივხვდი, დამნაშავეებს შორის, ერთ-ერთი ჩემი საქმროც გახლდათ, მაგრამ სად წავსულიყავი? ასე გავიდა ჯერ ერთი წელი, მერე – მეორე... ცოტა ხნის წინ, ტელევიზიით, სხვადასხვა რესპუბლიკაში არსებულ ანსამბლებზე სიუჟეტი გადიოდა და დავინახე, რომ თბილისში არსებულ ანსამბლში ჩემი საქმროც მღეროდა. ქმრის საათის გარდა, მისგან არაფერი მინდოდა, რადგან ეს ნივთი ჩემთვის რელიქვიასავით იყო, ამიტომ თბილისში წავედი და ვიპოვე, ვუთხარი, შენგან არაფერი მინდა, საათი დამიბრუნე-მეთქი. უარი მითხრა და დავემუქრე, თუ არ დამიბრუნებ, ვიტყვი, რომ ყაჩაღობაში შენც მონაწილეობდი-მეთქი. თბილისის ზღვაზე დამიბარა, იქ ვისაუბროთო და როცა ადგილზე ტაქსით მივედი, მივხვდი, მოსაკლავად დამიბარა. წამოსვლას ვაპირებდი, როცა თავადაც მოვიდა და საუბარი დამიწყო, შემდეგ სიგარეტი ამოიღო, თუმცა ასანთი დაუვარდა და ასაღებად დაიხარა. მაშინ დავინახე, ქამარში იარაღი რომ ჰქონდა, ამოვაცალე და დაუფიქრებლაად ვესროლე. მოკვლა არ მიფიქრია, საათი შევხსენი და ცარიელი მასრები და იარაღი ზღვაში გადავაგდე“, -დაასრულა ქალმა მოყოლა.

სასამართლო თბილისში გაიმართა და მოსამართლემ ქალს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, დაჭრილ ბოშას კი ჩადენილი ყაჩაღობისთვის 11 წელი მისცეს, თუმცა არ დაუპატიმრებიათ – კისერში მოხვედრილი ტყვიის გამო, ის კისერს ქვემოთ მოწყვეტილი იყო და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

ბათო ჯაფარიძე

დღეის მდგომარეობით, ევროპაში საქართველოს პოლიციის ატაშეები არიან და ადგილობრივ სამართალდამცავებს ქართველ კრიმინალებთან ბრძოლაში ეხმარებიან, თუმცა ეს მივლინება კი არა, მათი მუდმივი სამუშაოა. ატაშეებს არ აქვთ განსაზღვრული ვადა, რომ კონკრეტულ ქვეყანაში იყვნენ და შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ, ადრე კი ასე არ იყო. საბჭოთა კავშირის დროს, მივლინება ძალიან, ძალიან მიღებული გახლდათ და არა მარტო სამართალდამცავები, არამედ, ყველა სფეროს წარმომადგენლები დადიოდნენ მივლინებაში, სწავლობდნენ, ასწავლიდნენ, პროფესიულ ჩვევებს ხვეწდნენ. გამონაკლისი არც სამართალდამცავი უწყება იყო და სწორედ ამიტომ, კონკრეტული მიმართულების პროფესიონალები ერთმანეთს ხშირად პირადად იცნობდნენ, რაც საქმესაც აიოლებდა და უფრო პროდუქტიულსაც ხდიდა.

ბრილიანტებით მოვაჭრეები და სადისტურად მოკლული მოსკოველი მუშები

1979 წელს, საქართველოში, სამართალდამცავებმა მოკლე პერიოდში, ოთხი ორგანიზებული ბანდფორმირება გამოააშკარავეს და მათი წევრები უსისხლოდ დააკავეს. ეს, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მოსკოვიდან ბრძანებაც მოვიდა, ორი გამომძიებელი, რომლებიც აღნიშნული ბანდების გამოძიების საქმეში იყვნენ ჩართულნი, სასწრაფო წესით, უკრაინაში უნდა წასულიყვნენ, რადგან იქ რვა თვის განმავლობაში დათარეშობდა ბანდა, რომელიც ძარცვავდა, კლავდა, ყაჩაღობდა... რა თქმა უნდა, ქართველები დანიშნულების ადგილზე წავიდნენ და მათ მხოლოდ ერთთვიანი მივლინება გამოუწერეს – ამ ვადაში უნდა ჩატეულიყვნენ ანუ უნდა დაეკავებინათ ბანდა, რომლის ასავალ-დასავალსაც უკრაინელმა არცთუ ურიგო მაძებრებმა, ლამის ერთი წლის განმავლობაში ვერ მიაგნეს. ქართულ დელეგაციას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი ხელმძღვანელობდა.

„ადგილზე რომ ჩავედით, იმდენი სამუშაო დაგვხვდა ჩატარებული, ცოტა არ იყოს, შეგვეშინდა. ჩვენ ამდენს ვერ მოვახერხებდით და ალბათ, ვერც შევძლებდით. მოგეხსენებათ, უკრაინა სხვა რესურსი და მასშტაბებია, თუმცა საქმის გაცნობის შემდეგ, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბანდის წევრები მუდმივად ერთი ნაბიჯით უსწრებდნენ სამართალდამცავებს, რაც პირდაპირ იმას ნიშნავდა, რომ მათ ჰყავდათ კარგი ინფორმატორი და ეს ინფორმატორი ძალოვან სტრუქტურებში უნდა გვეძებნა, თანაც როგორი საქმეა, ახლადჩასული ხალხი ვართ და ყველას ეჭვის თვალით უნდა ვუყურო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საინტერესო ის იყო, რომ ბანდის წევრები თუ ვინმეს კლავდნენ, აუცილებლად ყელში გასროლით. არავინ იცოდა, ეს რატომ კეთდებოდა, შეიძლება, ვინმეს მოსწონდა ყელში სროლა, შესაძლოა, სხვა რამ იყო მიზეზი, მაგრამ ფაქტია – მსხვერპლების ასი პროცენტი, სწორედ ასე იყო გარდაცვლილი. ექიმებმა კი თქვეს, ყელში სროლა გარანტირებულ სიკვდილს უდრისო, მაგრამ რეალურად, უფრო გარანტირებული შუბლში სროლა იქნებოდა.

ჰოდა, ქართული დელეგაციის ჩასვლიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, სამართალდამცავებს შეატყობინეს, სასტუმროში ორი ახალგაზრდა კაცის გვამი ნახეს და ორივეს ყელში აქვს ნასროლიო. ადგილზე ყველა ერთად გავიდა და იქ მისულებს ორი ახალგაზრდა დახვდათ მოკლული. ხელწერა ძებნილი ბანდის იყო და ამიტომ, როგორც მომსახურე პერსონალს, ისე ახლო-მახლო მცხოვრებლებსაც უმკაცრესი დაკითხვა მოუწყვეს. რაც მთავარია, გაარკვიეს გარდაცვლილების ვინაობა და ისინი მოსკოვის ოლქიდან ჩასული ჩვეულებრივი მუშები იყვნენ, რომლებიც უკრაინაში, დაგეგმილზე ერთი დღით ადრე ჩაფრინდნენ და მეორე დღეს, უკვე საერთო საცხოვრებელში უნდა გადასულიყვნენ. მათ ტანსაცმლით სავსე ორი ჩემოდანი ჰქონდათ, რომელიც ბანდის წევრებმა ხელს გააყოლეს.

„საქმეში ჩავრთეთ რუსი სამართალდამცავებიც, თავიდან ბოლომდე შევამოწმეთ გარდაცვლილები და ვერაფერს მივაგენით. ვერავინ ხსნიდა, რატომ შეიძლებოდა მოეკლათ ორი, არაფრით გამორჩეული ბიჭი, რომლებიც არასდროს ყოფილან შემჩნეულნი კრიმინალში. ის, რომ მათ ბანდას სადმე გადაურბინეს, გამორიცხული იყო. აეროპორტიდან სასტუმრომდე ავტობუსით მივიდნენ, ნომრიდან არ გასულან და ნომერშივე ჩაცხრილეს. მკვლელობა, სავარაუდოდ, მაყუჩიანი იარაღით მოხდა, რადგან სროლის ხმა არავის გაუგია. უცხო ხალხი სასტუმროში არავის შეუნიშნავს, მაგრამ ისინი, რომლებსაც სხვა ნომრები ჰქონდათ ნაქირავები, ეჭვს არ იწვევდნენ. ვიღაცამ თქვა, შეიძლება, ბანდამ გაიგო, რომ საქართველოდან გამომძიებლები ჩამოვიდნენ და ეს მკვლელობა, სწორედ მათ დასანახად ჩაიდინეს, აქაოდა, ვერ დაგვიჭერთო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

დეტალური გადამოწმების შემდეგ, ძალოვნებმა ყურადღება ერთ რამეს მიაქციეს – იმავე დღეს და იმავე საათზე, იმავე სასტუმროში, კიდევ ორი ბიჭი შესახლდა და ისინიც სწორედ იმ ოლქიდან იყვნენ, საიდანაც გარდაცვლილები. დაკითხვის შემდეგ, ბიჭებმა სასტუმრო სასწრაფოდ დატოვეს. მოსკოველმა სამართალდამცავებმა თქვეს, რომ აღნიშნული პიროვნებები ბრილიანტების კონტრაბანდაში იყვნენ ეჭვმიტანილნი და მათ ადგილობრივი მილიცია აკონტროლებდა, თუმცა ფაქტზე ვერ იჭერდნენ. გამოდიოდა, რომ თავდამსხმელებს აერიათ ანუ არა ბრილიანტის კონტრაბანდისტები, არამედ, რიგითი მუშები დახოცეს და ტანსაცმლიანი ჩემოდნებიც იმიტომ წაიღეს, რომ მშვიდად დაეთვალიერებინათ, რადგან სასტუმროში დრო არ დაეკარგათ.

ბრილიანტების კონტრაბანდაში ეჭვმიტანილი ორივე პირი დააკავეს და უკრაინაში ჩაიყვანეს. ძალოვნებს, რადაც უნდა დასჯდომოდათ, უნდა ეთქმევინებინათ, ვინ იცოდა მათი ვოიაჟის შესახებ და სწორედ ასე უნდა გასულიყვნენ ბანდაზე.

დაკავებულებმა სამი პიროვნება ჩამოთვალეს, ორი მოსკოვში, ერთიც უკრაინაში. უკრაინაში მყოფი პირის დასაკავებლად, სამართალდამცავები მაშინვე გავიდნენ და ის... საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს – ყელში ტყვია ჰქონდა მორტყმული. მოსკოველები აღარც უძებნიათ, ცხადი იყო, ვინ გასცა ბრილიანტის კონტრაბანდისტები და ბანდის წევრებმა ეს ძაფიც ჩაჭრეს.

სწორედ ამ პერიოდში, კიეველმა მილიციელებმა ოთხი პიროვნება დააკავეს, რომელთაც საბადოებიდან მოპარული ოქრო ჰქონდათ. კონტრაბანდა ამოიღეს, თუმცა იქვე დაიბადა იდეა – კონტრაბანდისტები გაუშვეს ერთი პირობით, მათ უნდა ეთქვათ, რომ ძალოვნებმა ოქრო ვერ იპოვეს და თან ისინი ხმამაღლა დაეცინათ, უნდა ექირავებინათ სახლი და აქტიურად დაეწყოთ ოქროს მყიდველთა მოძიება. ამ პირობის სანაცვლოდ, მათ თავისუფლებას ჰპირდებოდნენ. კონტრაბანდისტები დათანხმდნენ, ოღონდ იმ პირობით, რომ მათ მიერ ნაქირავებ სახლში, ოპერმუშაკები 24 საათის განმაავლობაში იქნებოდნენ, თუმცა ოპერმუშაკების ნაცვლად, იქ სპეცდანიშნულების მთელი რაზმი შეიყვანეს, ორი კვირის სამყოფი საკვები შეუტანეს და მოვლენების განვითარებას დაელოდნენ.

მეცხრე დღეს, ბანდამ სახლში შესვლა სცადა. კონტრაბანდისტები წინასწარ მომზადებულ ოთახში ჰყავდათ გამოკეტილი, სპეცრაზმისთვის ხელი რომ არ შეეშალათ. რა თქმა უნდა, მათ განყოფილებაშიც დარეკეს და აყვანის ოპერაცია დაიწყო.

„დამხმარე ძალა, რომლის შემადგენლობაშიც ჩვენ, ქართველებიც ვიყავით, ადგილზე, დაახლოებით, ათ წუთში მივიდა, იქ კი უკვე ნამდვილი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ბანდის წევრები ავტომატებიდან ისროდნენ, რაც ასე იშვიათი გახლდათ იმ დროისთვის და რაც მთავარია, ისროდნენ უწყვეტად ანუ ტყვია-წამალი ბევრი ჰქონდათ. ორის ლიკვიდაცია ადგილზე მოხდა, მესამე ტყვედ ავიყვანეთ, მეოთხე კი გაიქცა. ჰო, გაარღვია სამმაგი კორდონი და გაიქცა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაჭრილს საავადმყოფოში მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უთხრეს, თუ მთელ სქემას არ გასცემ და გაქცეულის ვინაობას არ იტყვი, არ გიმკურნალებთ და მოკვდებიო. ყველაზე მეტად სამართალდამცავებს ის აინტერესებდათ, ვინ იყო ინფორმატორი, თუმცა დაჭრილმა მხოლოდ გაიღიმა და უარყოფის ნიშნად, თავი გადააქნია. მან ზუსტად იცოდა, დახვრეტის მუხლი არ ასცდებოდა და ამიტომ, სიკვდილის წინ, ვინმეს ჩაშვებას არ აპირებდა, თუმცა ეს საჭირო აღარც იყო, მისი და გარდაცვლილების ვინაობის დადგენის შემდეგ, ძალოვნებს მეოთხე პირის იდენტიფიკაცია არ გასჭირვებიათ და მასზე საკავშირო ძებნა გამოაცხადეს.

„ის მეოთხე მხოლოდ სამი წლის შემდეგ დააკავეს. მას გარანტია მისცეს, რომ ინფორმატორის დასახელების შემთხვევაში, დახვრეტის მუხლს არ მიუსჯიდნენ და მანაც თქვა, სამძებროს უფროსის მძღოლი იყო ჩემი ინფორმატორიო. არადა, მძღოლი ორი წლის გარდაცვლილი იყო, ავარიით დაიღუპა და მისი სიტყვების გადამოწმება ვერ მოხერხდებოდა, თანაც ძალოვნებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ მძღოლის დასახელება, სწორედ ინფორმატორის იდეა იყო და ამიტომ, მას დახვრეტის მუხლი მიუსაჯეს. როგორც ამბობდნენ, ბოლო წუთამდე სჯეროდა, რომ არ დახვრეტდნენ, მაგრამ განაჩენი სისრულეში მალევე მოიყვანეს. სავარაუდოდ, ამაშიც ხელი ინფორმატორმა შეუწყო, რათა დაკავებულისთვის ნერვებს არ ემტყუნა და მას საუბარი არ დაეწყო“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

აჭარის პოლიციის დანაყოფებს 32 ახალი ჰიბრიდული ავტომობილი გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, აჭარის პოლიციის დანაყოფებს ახალი, სედანის ტიპის ჰიბრიდული ძრავის 32 ავტომობილი შეემატა. მათგან 25 ავტომობილი საპატრულო პოლიციისთვისაა განკუთვნილი. ავტოპარკის განახლების შედეგად, ბათუმსა და ქობულეთში საპატრულო პოლიციის მხოლოდ ჰიბრიდული ავტომობილები იმოძრავებენ. ახალი, ჰიბრიდულძრავიანი 7 მანქანა ასევე გადაეცა კრიმინალური პოლიციის დანაყოფებს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ავტომობილების გადაცემის ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე, მოადგილეები, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, ვაჟა სირაძე და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

ვახტანგ გომელაურმა თანამშრომლებს ახალი მანქანების გადაცემა მიულოცა, რის შემდეგაც ავტომობილების ტექნიკურ მონაცემებსა და შესაძლებლობებს ბათუმის ქუჩებში, რეალურ პრაქტიკულ პირობებში, შინაგან საქმეთა მინისტრი პირადად გაეცნო.

შინაგან საქმეთა მინისტრი აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს გაესაუბრა, რა დროსაც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ სამინისტროში საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზანია, საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და პოლიციელებისთვის უკეთესი, კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა.

მისი განცხადებით, ახალი საპოლიციო ტრანსპორტი არის ეკონომიური, რის გამოც შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯები, კერძოდ, საწვავისა და სერვისის ხარჯი. ამავდროულად, ახალ ავტომობილებს მინიმალური გამონაბოლქვი აქვს და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტია.

პოლიციის ახალი ავტომანქანები აჭარის რეგიონისთვის სპეციალურად ტურისტული ზონის საჭიროებებისა და პირობების გათვალისწინებით შეირჩა. ჰიბრიდული ავტომობილები აჭარის საკურორტო ქალაქებში – ბათუმსა და ქობულეთში საპოლიციო საქმიანობის უფრო ეფექტიანად განხორციელებას შეუწყობს ხელს. აჭარის შავი ზღვისპირეთის ქალაქები – ბათუმი და ქობულეთი იქნება პირველი დასახლებები საქართველოში, სადაც ეკოლოგიურად უსაფრთხო და თანამედროვე საპოლიციო ტრანსპორტი სრულად ჩაანაცვლებს საპატრულო პოლიციის მხოლოდ საწვავზე მომუშავე მანქანებს.

აღსანიშნავია, რომ ავტოპარკის განახლების მიმდინარე პროექტში, ახალი ავტომობილებიდან არც ერთი არ არის განკუთვნილი სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელი პირებისთვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგულარულად აახლებს თავის ავტოპარკს. გასულ წელს, პოლიციის დანაყოფების ავტოპარკი 700-მდე ავტომობილით განახლდა. აჭარის შემდეგ, ახალი, ჰიბრიდულძრავიანი ავტომობილების გადაცემა რუსთავის პოლიციის თანამშრომლებისთვისაც იგეგმება.

პოლიციამ თბილისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული რ.მ. დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 21 მაისს, თბილისში, გურამიშვილის გამზირზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ეჭვიანობის ნიადაგზე, მეუღლეს – 1991 წელს დაბადებულ ს.კ.-ს, ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი გაცნობებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების წინამოსამზადებელ პერიოდში და 26 მაისს, დედაქალაქში ავტომანქანების მოძრაობა შეიზღუდება.

23 მაისს, 24:00 საათიდან, მოძრაობა სრულად შეიზღუდება თავისუფლების მოედანზე და რუსთაველის გამზირზე, პირველი რესპუბლიკის მოედნამდე. ასევე, მოძრაობა შეიზღუდება რუსთაველის გამზირზე გამომავალ ყველა ქუჩაზე.

25 მაისს, 24:00 საათზე, პირველი რესპუბლიკის მოედანი სრულად დაიკეტება.

ავტომანქანები გადაადგილებას შეძლებენ ბარათაშვილისა და თაბუკაშვილის ქუჩების გავლით, მერაბ კოსტავასა და სანაპიროს ქუჩების მიმართულებით.

მთაწმინდიდან მოძრაობა შესაძლებელი იქნება ასათიანის ქუჩის გავლით, გორგასლის მოედნის მიმართულებით. ასევე, კოტე აფხაზის ქუჩაზე (ყოფილი ლესელიძის ქუჩა) მოძრავ ნაკადს გადაადგილების გაგრძელება შეეძლება ვერცხლის ქუჩის გავლით, ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით.

ავტომანქანების მოძრაობა ასევე აკრძალულია მარჯვენა სანაპიროდან ბარათაშვილის ქუჩაზე ამსვლელ პანდუსზე. ავტოსატრანსპორტო საშუალებები მოძრაობას შეძლებენ ვახტანგ გორგასლის ქუჩის მიმართულებით. ბარათაშვილის დაღმართიდან მოძრავი ტრანსპორტი კი, ბარათაშვილის ხიდზე გადასვლის შემდგომ, იმოძრავებს მხოლოდ იუსტიციის სახლის მიმდებარედ ჩამსვლელ პანდუსზე, მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით.

ავტომანქანები, რომლებიც გადაადგილდებიან მთაწმინდის მიმართულებით, იმოძრავებენ პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე, სიმონ ჯანაშიას, ივანე თარხნიშვილისა და თამარ ჭოველიძის ქუჩების გავლით, საიდანაც მოძრაობას გააგრძელებენ ჭონქაძის ქუჩის მიმართულებით.

ასევე, ილია ჭავჭავაძის გამზირიდან მომავალ ნაკადს მოძრაობის გაგრძელება შეეძლება პეტრე მელიქიშვილისა და მერაბ კოსტავას ქუჩების გავლით, სანაპიროს მიმართულებით.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, მოძრაობის უსაფრთხოებისა და შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაკადს დაარეგულირებენ. საჭიროების შემთხვევაში, პატრულ-ინსპექტორები მძღოლებს ალტერნატიული მარშრუტების შესახებაც მიაწვდიან ინფორმაციას.

27 მაისიდან, ღონისძიებისთვის განკუთვნილი დეკორაციების დემონტაჟის შემდეგ, შეზღუდვები სრულად მოიხსნება და ავტოსატრანსპორტო მოძრაობა ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა, როგორც ხარისხზე ორიენტირებულმა ორგანიზაციამ, წარმატებით დანერგა საერთაშორისო ISO სტანდარტები



სტანდარტი ISO 9001:2015-ის დანერგვა უზრუნველჰყოფს ცენტრის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებაში, პროცესების გამჭვირვალობასა და მონიტორინგის კიდევ უფრო ეფექტიანი სისტემის შექმნაში.

ISO 9001 წარმოადგენს ხარისხის მენეჯმენტის მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებულ სისტემას. იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სტანდარტია, რომლის მიზანია, ორგანიზაციის პროცესების ეფექტიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფა მომხმარებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

სტანდარტი ISO 21001:2018 წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის უახლეს გამოცემას საგანმანათლებლო ორგანიზაციების მენეჯმენტსისტემების რეგულაციისათვის. აღნიშნული სტანდარტი ფოკუსირებულია საგანმანათლებლო ორგანიზაციების მენეჯმენტსისტემის გაძლიერებაზე, ასევე, მომსახურებისა და წარმოებული პროდუქტის ხარისხის ამაღლებაზე.

ISO 21001:2018-ის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში დანერგვა უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგების ხარისხის ამაღლებას, სასწავლო პროცესში ახალი მიდგომების დანერგვასა და კონკურენტუნარიანობას, რაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს მომავალი ოპერატორების რეკრუტირებისა და მომზადება/გადამზადების პროცესზე და აისახება ქოლ-ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე.

სანიოლმა ნაკრების შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ერთა ლიგის მაატჩებისთვის მზადებას იწყებს. ვილი სანიოლის შეგირდებს უმძიმესი კალენდარი აქვთ – ჩვენმა გუნდმა ათ დღეში, ოთხი ოფიციალური შეხვედრის ჩატარება უნდა მოასწროს და რაც მთავარია, აუცილებლად უნდა დადოს შედეგი. სანამ მთავარ სათქმელსა და შემადგენლობაზე გადავალთ, საქართველოს ნაკრების მატჩების განრიგს გაგაცნობთ და გეტყვით, რომ აღნიშნული ოთხი მატჩის გარდა, ერთა ლიგაზე ჩვენი გუნდი ორ შეხვედრას სექტემბერში გამართავს, თუმცა გადამწყვეტი, სწორედ მოახლოებული ოთხი შეხვედრაა:

2 ივნისი – საქართველო – გიბრალტარი (20.00 სთ.);
5 ივნისი – ბულგარეთი – საქართველო (22.45 სთ.);
9 ივნისი – ჩრდ. მაკედონია – საქართველო (22.45 სთ.);
12 ივნისი – საქართველო – ბულგარეთი (20.00 სთ.);
23 სექტემბერი – საქართველო – ჩრდ. მაკედონია (20.00 სთ.);
26 სექტემბერი – გიბრალტარი – საქართველო (22.45 სთ.).

რაც შეეხება შემადგენლობას, როგორც ვვარაუდობდით, სანიოლმა 30 ფეხბურთელს უხმო, რადგან ასეთი დატვირთვის გაძლება ყველას გაუჭირდება და როტაცია აუცილებელია. მეტიც, გვგგონია, რომ პირველ შეხვედრაში ფრანგი სპეციალისტი ლიდერებს დაასვენებს, რადგან საეჭვოა, ლიდერების გარეშეც კი, მეთევზეებს ვერ მოვუგოთ. მით უმეტეს, გიბრალტართან შეხვედრის შემდეგ, უმძიმესი გასვლა გველის ბულგარეთსა და ჩრდილოეთ მაკედონიაში.

ახლა არ დავიწყებთ განხილვას, თუ რატომ შეაჩერა არჩევანი სანიოლმა რამდენიმე ისეთ ფეხბურთელზე, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა არ აქვთ და არ უხმო სხვას, თუმცა, როგორც კი სანაკრებო სია დაიდო, ლამის მთელი საქართველო აყვირდა, რატომ არ იყო შემადგენლობაში ბექა მიქელთაძე. ბექა ავსტრალიურ „ნიუკასლ ჯეტსში“ თამაშობს, იქ ჩემპიონატი ახლა დასრულდა, ქართველმა ფორვარდმა კი 13 გოლთან ერთად, 3 საგოლე გადაცემაც მიითვალა და არა მარტო კლუბის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, არამედ, სეზონის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს. სიის გამოცხადების შემდეგ, ტრავმა გაუმიზეზდა კვიპროსში მოთამაშე გიორგი ქვილითაიას, რომელიც ნაკრებში იყო გამოცხადებული და გაირკვა, რომ ის თამაშს ვერ შეძლებს. ჰოდა, სწორედ მის ნაცვლად ჩასვა სანიოლმა მიქელთაძე, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა ფეხბურთელი ვინმეს გამო კი არა, ისედაც უნდა მოხვედრილიყო ეროვნულ გუნდში. რაც შეეხება შემადგენლობას, იგი ასე გამოიყურება:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), გიორგი ლორია („ანორთოსისი“,– კვიპროსი), ლაზარე კუპატაძე („დინამო“ ბათუმი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე („დინამო“ დრეზდენი, გერმანია), ირაკლი აზაროვი, გრიგოლ ჩაბრაძე, მამუკა კობახიძე (სამივე „დინამო“ ბათუმი), დავით ხოჭოლავა („კოპენჰაგენი“, დანია), ლუკა ლოჩოშვილი („ვოლფსბერგი“, ავსტრია), ლაშა დვალი („ფერენცვაროში“, უნგრეთი), საბა კვირკველია („გაგრა“);

ნახევარმცველები: საბა ლობჟანიძე („ჰათაიასპორი“, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი („ლეხი“, პოლონეთი), ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), ვაკო გვილია („რაკუვი“, პოლონეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი („დინამო“ ბათუმი), ანზორ მექვაბიშვილი („დინამო“ თბილისი), გიორგი ჩაკვეტაძე („ჰამბურგი“, გერმანია), გიორგი აბურჯანია („ჟილ ვისენტე“, პორტუგალია), თორნიკე ოქრიაშვილი („აპოელი“, კვიპროსი),

თავდამსხმელები: ხვიჩა კვარაცხელია, ზურიკო დავითაშვილი (ორივე „დინამო“ ბათუმი), გიორგი წიტაიშვილი („ვისლა“, პოლონეთი), ვაკო ყაზაიშვილი („ულსან ჰიუნდაი“, სამხრეთ კორეა), ბუდუ ზივზივაძე („უიპეშტი“, უნგრეთი), გიორგი მიქაუტაძე („სერენი“, ბელგია), ბექა მიქელთაძე („ნიუკასლ ჯეტსი“, ავსტრალია).

ჯოჯუა ისევ დამარცხდა

27 წლის ქართველი მებრძოლი, ლიანა ჯოჯუა UFC-ში წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ, რანგით დაბალ ლიგაში გადავიდა და ბედი იქ სცადა. მისი მეტოქე ARES FC-ში რუსი დარია ჟელეზნიაკოვა იყო. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ, ლიანას აუცილებლად უნდა მოეგო, რათა შემდგომში მასთან შეხვედრის სურვილი არაერთ სპორტსმენს გასჩენოდა და რაც მთავარია, ორგანიზატორებსაც ჰქონოდათ სურვილი, რომ ლიანასთან მსუყე კონტრაქტი გაეფორმებინათ.

მართალია, ჯოჯუამ სამი რაუნდი გაძლო, მაგრამ მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, რუსმა სპორტსმენმა გაიმარჯვა. ჯერჯერობით, უცნობია, ვინ იქნება ლიანას მომავალი მეტოქე, მაგრამ ყველა აღნიშნავს, რომ შემდეგ ბრძოლაში მარცხის შემთხვევაში, მას უბრალოდ მოწინააღმდეგის მოძებნა გაუჭირდება.

ქართველმა გოგონებმა მსოფლიო თასი მოიგეს

ტაილანდის ქალაქ პატაიაში, ეტლით მოფარიკავეთა შორის, საქართველოს ქალთა ნაკრებმა დამაჯერებლად იასპარეზა. ჩვენი გუნდის ღირსებას ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი იცავდნენ. ქართველი გოგონები ფინალამდე თითქოს მარტივად მივიდნენ, ფინალში კი იტალიის უძლიერეს გუნდს შეხვდნენ. დრამატული შეხვედრა 42:41, საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა და ქართველებმა სამშობლოში ოქროს მედალი წამოიღეს. მესამე ადგილი ჰონგ-კონგელებს ერგოთ.

საქართველოს მეორე ლიგაში გარიგებული მატჩები დადასტურდა

გარიგებული მატჩები მსოფლიო ფეხბურთის პრობლემაა. ამის გამო, მსოფლიოს ტოპ-კლუბებსაც კი სჯიან და ქვედა ლიგაში აქვეითებენ. ჰოდა, უეფას ეჭვი საქართველოს საფეხბურთო ლიგაზეც გაუჩნდა და გამოძიებაც ჩაატარა, რომელშიც ფეხბურთის ფედერაციაც იყო ჩართული, თანაც საუბარი არა უმაღლეს, არამედ, რანგით მეორე ლიგაზეა. სამწუხაროდ, დადასტურდა, რომ გარიგებული მატჩები ნამდვილად იყო და ამ ყველაფერში ორი გუნდი – ზუგდიდის „დინამო“ და თბილისის „შევარდენი 1906“ მონაწილეობდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სპეციალური განცხადებას გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„2022 წლის 21 მაისს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის სხდომა გაიმართა. სხდომაზე განიხილეს უეფას სპორტული სამართლიანობის განყოფილების ანგარიში საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ლიგა 2-ში მოასპარეზე კლუბების – ზუგდიდის „დინამოსა“ და საფეხბურთო კლუბ თბილისის „შევარდენი 1906“-ის ცალკეული მატჩების შედეგებზე თაღლითური ფსონებით ზეგავლენის შესახებ. სადისციპლინო კომიტეტი უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის ანგარიშის გარდა გაეცნო მხარეთა ახსნა-განმარტებებს, სფფ-ის სპორტული სამართლიანობის სამსახურის მენეჯერის მიერ თფა-ს ანგარიშის მიხედვით შედგენილ მოხსენებით ბარათსა და მატჩებში საეჭვო ეპიზოდების ვიდეო-ჩანაწერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის 126-ე მუხლისა და 55 მუხლის თანახმად, კომიტეტმა კლუბ ზუგდიდის „დინამოსა“ და მის ფეხბურთელებთან დაკავშირებით, მიიღო გადაწყვეტილება:

ს.კ. ზუგდიდის „დინამო“ მოხსნილია 2022 წლის ეროვნული ლიგა 2-ის გათამაშებიდან და დაქვეითდა ერთი საფეხურით დაბალ დივიზიონში; ასევე დისკვალიფიცირებულია 2022 წლის დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებიდან;

ს.კ. ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელებს, ნიკა აფხაზავას, ნიკოლოზ ბერიშვილსა და ავთო ენდელაძეს აეკრძალათ ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობა 12 თვის ვადით. ხოლო სერგეი დიაჩუკს, ნიკოლოზ ხარაბაძეს, არველოდ ხუნჯგურუას და როინ ჩხაიძეს აეკრძალათ ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობა 6 თვის ვადით (ვადის მოქმედება წყდება ნებისმიერი საჩემპიონატო ინტერვალით – სეზონებს შუა ან შესვენების პერიოდებში);

ს.კ. ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელებს დაეკისრათ ფულადი ჯარიმა: ნიკა აფხაზავას – 5 000 ლარი; ნიკოლოზ ბერიშვილსა და ავთო ენდელაძეს – 3 500 ლარი; სერგეი დიაჩუკს, ნიკოლოზ ხარაბაძეს, არველოდ ხუნჯგურუასა და როინ ჩხაიძეს – 2 000 ლარი.

სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის 126-ე მუხლისა და 55 მუხლის თანახმად, კომიტეტმა კლუბ ს.კ თბილისის „შევარდენი 1906“-სა და მის ფეხბურთელებთან დაკავშირებით მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ს.კ. თბილისის „შევარდენი 1906“ მოხსნილია 2022 წლის ეროვნული ლიგა 2-ის გათამაშებიდან და დაქვეითდა ერთი საფეხურით დაბალ დივიზიონში; ასევე დისკვალიფიცირებულია 2022 წლის დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებიდან;

ს.კ. თბილისის „შევარდენი 1906“ დაჯარიმდა 10 000 ლარის ოდენობით;

ს.კ. თბილისის „შევარდენი 1906“-ის ფეხბურთელებს, ნიკოლოზ ჯიშკარიანს, გიორგი ნადირაძეს, ილია რეხვიაშვილს, დმიტრო ზოზულიას და ოლექსანდრ ვეჩტომოვს აეკრძალათ ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობა 12 თვის ვადით. ხოლო ნიკა ქორიძესა და იგორ კირიენკოს აეკრძალათ ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობა 6 თვის ვადით (ვადის მოქმედება წყდება ნებისმიერი საჩემპიონატო ინტერვალით – სეზონებს შუა ან შესვენების პერიოდებში);

ს.კ. თბილისის „შევარდენი 1906“-ის ფეხბურთელებს დაეკისრათ ფულადი ჯარიმა: დმიტრო ზოზულიას, ოლექსანდრ ვეჩტომოვს, ილია რეხვიაშვილს, ნიკოლოზ ჯიშკარიანსა და გიორგი ნადირაძეს – 3 500 ლარი; ნიკა ქორიძესა და იგორ კირიენკოს – 2 000 ლარი.

სფფ-ს სადისციპლინო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად კომიტეტის გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან. გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საფეხბურთო დავების განმხილველ ტრიბუნალში მისი მხარისათვის ჩაბარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. კომიტეტის გადაწყვეტილების მოქმედება ჩერდება მხოლოდ ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ზემოაღნიშნულ ვადაში გადაწყვეტილების არგასაჩივრების შემთხვევაში, იგი უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ“.

გაუგონარი კონტრაქტი მბაპეს

საფრანგეთის ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის“ ფორვარდს, კილიან მბაპეს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი ზუსტად ერთ კვირაში ეწურებოდა და მსოფლიოს ერთ-ერთი, ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ძალიან ახლოს იყო კლუბის გამოცვლასთან. მისი გადაბირების სურვილი მადრიდის „რეალს“ ჰქონდა, თუმცა მხარეები ფინანსურ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. 23 წლის შემტევს წლიურ ხელფასად 50 მილიონი სურდა, ამას გარდა, სარეკლამო უფლებებსაც თავისთვის იტოვებდა და იმის გამო, რომ „რეალი“ მას ხელში უფასოდ ჩაიგდებდა, ბონუსის სახით, 150 მილიონსაც ითხოვდა. „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტმა, პლორენტინო პერესმა განაცხადა, ჯერ არ გავგიჟებულვარ და მბაპემ მადლობა თქვას, მსოფლიოს ყველაზე დიდ კლუბში თამაშის შესაძლებლობა რომ აქვსო, თუმცა, როგორც ჩანს, კილიანს ფული არანაკლებ აინტერესებს. საბოლოოდ, მისმა აგენტმა მოლააპარაკებები კვლავ „პარი სენ ჟერმენის“ მფლობელებთან, არაბ შეიხებთან გააბა და...

„მბაპემ ფრანგულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან ერთჯერადი ბონუსის სახით, 300 მილიონი ევრო მიიღო, კვირაში კი მისი ხელფასი მილიონი ევრო იქნება, ეს პრემიების გარეშე. ამასთან, მბაპეს აქვს უფლება, რეკლამებიდან შესული თანხა სრულად დაიტოვოს (რაც კიდევ დამატებით 50 მილიონია) და ამავდროულად, ის მონაწილეობას მიიღებს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიც არის მთავარი მწვრთნელისა და სპორტული დირექტორის დანიშვნა, გუნდში ახალი ფეხბურთელების აყვანა და გაშვება. მოკლედ რომ ვთქვათ, მბაპე არის ყველაფერი ამ კლუბში და მისი კაპრიზების დაკმაყოფილება პარიზელებს, საერთო ჯამში, რვაას მილიონ ევროზე მეტი უჯდებათ, რაც თანამედროვე ფეხბურთშიც კი, გაუგონარი ციფრია“, – წერს ფრანგული მედია.

სხვათა შორის, ამ ამბის გამოცხადების შემდეგ, პარიზელ გულშემატკივარს უკმაყოფილება არ დაუმალავს და ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ მბაპე ამ დანახარჯად არ ღირდა.

ბარაკონი: ჩრდ-დასავლეთის ფასადი და ქტიტორული წარწერა

ქვათა მატიანე

ძველი და მათზე ძველი პატრონები

ქვემო რაჭა

გელა ქოქიაშვილი

რაკი ქვემო რაჭაში ვმოგზაურობთ და წინა ნარკვევი „კვირიკეწმინდის“ აღწერით დავასრულეთ, უმჯობესია ამ ადგილებს დიდად არ დავცილდეთ და ამბროლაურის სამხრეთ სიახლოვეში მდებარე სოფლები მოვინახულოთ. თუმცა, სიტყვა „სიახლოვე“ მანძილს სწორედ ვერ ასახავს. რაჭის ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკა დიდი სატყუარაა. ორი სოფელი, რუკაზე რომ გვერდი-გვერდაა, სინამდვილეში მინიმუმ სამჯერ შორსაა. დასახლებებს ერთმანეთისგან ღრმა ხევები გამოყოფს. ამასთან ერთი სახლი რომ მთის ძირშია, ბოლო სახლი, შეიძლება, ამ მთის ზურგზე ან კორტოხზე იდგეს. მათალია, რაჭის მთის სასოფლო გზები საქართველოში, ალაბათ, ყველაზე უკეთესიც კია და

3 საფლავის ქვა და ახალი ტაძარი წკადისში



დიდი აღმართებიც დასაძლევია, მაგრამ სირთულე სხვა რამეშია – ძეგლების უმეტესობა ისე შორსაა სოფლიდან და ისეა ჩაკარგული დაბურულ ტყეში, რომ დამოუკიდებლად ვერ მიაგნებ, მეგზურია აუცილებელი, თანაც იგი მუხლმაგარი და დაუზარელი უნდა იყოს. ამიტომ, რაჭაში შუაზაფხულს სჯობს მოგზაურობა, თორემ შემოდგომამ თუ მოგისწრო, სოფელში, სანთლით რომ ეძებო, თითოოროლა მოხუცის გარდა სხვას ვერავის ნახავ, სიტყვიერი ახსნით კი გზას ვერ გაიგნებ.

კვირიკეწმინდას სამხრეთით და დასავლეთით არაერთი სოფელია, რომელთაგან საყოველთაო სამზეოზე მხოლოდ **ხოტევის ციხე** და ახალი, გუმბათიანი ტაძარია. გვიან შუა საუკუნეებში ეს სოფელი წულუკიძეებისა შეიქნა და საინტერეო იმითაა, რომ იგი ერთგვარ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. მის პატარ-პატარა ქაულბაქებთან ურიები ვაჭრობდნენ. მაქვს ეჭვი, რომ ეს წულიკიძეები ძირად სვანეთის სოფელ ზემო და ქვემო ლუჰადან არიან, შემდეგ კი ისე გარაჭველებულან, რომ სწორედ სვანებთან ბრძოლით მოჰქონდათ თავი. ამაზე ოდნავ ქვევით...

დაცულია საბუთი, რომლის მიხედვით 1451 წელს წულუკიძეთა გვარის მეთური ვირშელი საქართველოს მეფეს გიორგი VIII-ს თხოვს მისცეს (თუ დაუბრუნოს) „მკვიდრი და ნასისხლი სოფელი იწი“ (ის ამბროლაურს ეკვრის სამხრ-დასავლეთიდან – გ.ქ.), **რამეთუ მისი ძენი ვალადემურ, სალუყაზან, ბევროზ, ბეჟან და სიაოშ მეფის წინაშე თავდადებით ნამსახურნი არიან, ხოლო უფრო ადრე „პაპანი და მამანი მათნი ბაგრატიონთა დინასტიის სამსახურსა და ერთგულებასა შიგან დახოცილან“.** აქ შეიძლება XIII-XIV სს-ის ორი ამბავი იგულისხმებოდეს: დავით ნარინის მიერ კახაბერისძეების დამხობა ან ბაგრატ V-ის მიერ სვანთა ამბოხების ჩაქრობა და მათი დამორჩილება. ვირშელის მემკვიდრეებმა არათუ იწა, არამედ მის ქვევით და დასავლეთით მდებარე უამრავი სოფელი მიიღეს საბატონოდ. ბოლოს ისინი იმდენად გამდიდრდნენ და გათამამდნენ, რომ „ნიკორწმინდა“ საგვარეულო აკლდამად გაიხადეს და მისი ინტერიერი, კედლების თითქმის მთელი ქვედა მონაკვეთი, თავიანთი ფრესკებით შეამკეს. უფრო მეტიც – ამ ფრესკებზე მამაკაცებმა შარავანდედი დაიდგეს !.. და კიდევ: 1688 წელს მერაბ წულუკიძეს, ხოტევს გაღმა, აგარაში ეკლესია აუგია, მოუხატვინებია, და იქვე ვერცხლის ფეშხუმიც შეუწირავს. ფეშხუმის წარწერაში მერაბ წულუკიძე ამბობს: **„სამნი ბატონი ხელმწიფე გარდამეკიდა, ღვთით ვერა მაწყინა რა, თან სვანზე რაგვარად გავიმარჯვე, ვინ იცის სხვა მტერზე რა ვქენი. აწ უყურე მუხთალ სოფელს თუ მისი ბეგარა არ მოშალოს. ვინ შენდობა ბრძანო [თქვენცა შეგინდოს ღმერთმა]“.** XVIII ს-ის მეორე ნახევარში წულუკიძეებს 800 კომლი ყმა ჰყოლიათ რაჭასა და მთლიანად იმერეთში. წარმოიდგინეთ, რომ 1745 წელს მოჭრილი ერთი ბეჭდის წარწერაში მერაბ წულუკიძე რაჭა-ლეჩხუმის სარდალადაც კი მოიხსენიება. ამავე პერიოდში გერმანე წულუკიძე დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი და ნიკორწმინდელი მიტროპოლიტი იყო. საინტერეოა სხვა ფაქტიც: 1819-1820 წლების „ცერკოვნი ბუნტის“ დროს, როცა ნიკორწმინდიდან დიდი აჯანყება დაიწყო რუსეთის მიერ ქართული საეკლესიო სიმდიდრის აღწერისა და მისი მოსალოდნელი გატანის საწინააღმდეგოდ, წულუკიძეების უმეტესობა აჯანყებულების მხარეს დადგა. უფრო მეტიც – ბევრი მათგანი ამ ბრძოლას შეეწირა: ზოგიერთი ადგილზევე მოკლეს, ზოგიერთი კი გადასახლებაში გარდაიცვალა. წულუკიძეთაგან მხოლოდ ერთმა მათგანმა დაიკავა რუსთა მხარე. ეს იყო სოფრონიოს ნიკორწმინდელი, რომელმაც რუსეთის მთავრობის ერთგულებისთვის იმერეთის არქიეპისკოპოსობა მიიღო.

წულუკიძეთა განკარგულებაში ერთ დროს

ზნაკვის ციხის ნაშთები

ჟენევაში პირადად გაეცნო ლენინს, უმაღლესი განათლება მიიღო და საბჭოთა პერიოდში კურორტ შოვის მშენებლობის მოთავე და ხელმძღვანელი იყო. სწორედ მის ეზოკარში დგას უნიკალური ათასწლოვანი ცაცხვი, რომლის უზარმაზარი ვარჯები თითქმის მთელ ეზოს ჩრდილავს. ნამდვილად „წითელი წიგნის“ ბუნების ძეგლია.

წკადისიდან ხოტევის, კაჩაეთის და მოტყიარის გავლით, სოფელ **ზნაკვაში** შევდივართ. ვახუშტი ბატონიშვილი ასე წერს: **„ზნაკვას არს ციხე შენი და მაგარი“, ექვთიმე თაყაიშვილის აღწერით კი აქ არის გიორგი წულუკიძისეული ციხის ნანგრევები.** ორსავე შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს იმ ერთადერთ ციხის ნანგრევებზე, რომელიც ყველაზე უკეთ ზნაკვიდან ქედისუბანში მიმავალი გზიდან მოჩანს. ზნაკვას ძველი ისტორია აქვს. იგი 1071-1080 წლების საბუთში („დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა“) არის ნახსენები. იქვე ვხვდებით ამ სოფლის შეძლებული პირის გვარს, ხვედელიანს: **„ზნაკვისა თავსა ხვიდილიანმან შემოსწირა მიწაი სანახევროი...“ „ხვიდელიანისა სულისათვის შემოსწირეს შხროს ყანაი“.** ამ საბუთში,რომელშიც არაერთი სოფელი თუ უბანია დასახელებული, ზნაკვა შვიდჯერ არის ნახსენები და ჩანს, რომ იგი „ნიკორწმნდის“ მამული იყო. ამის კიდევ ერთი დასტურია შემდეგი ჩანაწერი: **„და მუნვე ზნაკუას ერისთავთა-ერისთავმან მიქელ წორბელისაგან და ვახტანგისაგან იყიდა მიწაი ტყიანი და მათ უბოძა ფასად ჯაჭვი ბ (ე.ი. 2) და ზედა ქორეთის სახლი ა (ე.ი. 1) და იგი მიწაი წმიდა ნიკოლაოზს შემოსწირა“**. წარწერაში ნახსენები მიქაელი რიგით მეოთხე რაჭის ერისთავი უნდა იყოს, ხოლო წორბელი იეთივე სახელია, როგოც ვახტანგი. ახლა რაც შეეხება თავად ციხეს. მას სამი გვარიანად შელახული კოშკი და მაღალი გალავანი აქვს, რომელიც ალაგ-ალაგ ჩამოშლილია. ორი კოშკი მართკუთხაა,ხოლო ერთი – მრგვალი. ორ კოშკს სალოდე „დუროები“ აქვს, მესამე კოშკის ზედა სართული ჩამოქცეულია. კოშკებს შიგნით, ყოველ სართულზე, ბუხარი ჰქონია. ეზოში სხვა ნაგებობათა საძირკვლის ქვებია. ქვევრები აღარ ჩანს. მთელი კომპლექსი უმეტესად განვით. შუასაუკუნეებისაა.

ზნაკვიდან მის მეზობლად მდებარე **ქედისუბანში** გადავდივართ და მთავარანგელოზის ეკლესიას ვეძებთ. ძებნას, ალბათ, მთელ დღეს მოვანდომებდით, რომ ბედად კეთილი კაცი თამაზ მიქაუტაძე არ შეგვხვედროდა. იგი მეგზურობას გვიწევს და გვეუბნება, რომ ეკლესია გაგოშიძეების უბნის სასაფლაოზეა. სოფელში, რომელსაც პირობითად ორ ნაწილად ჰყოფს ხევი, ათი გვარეულობის ასამდე ოჯახი ცხოვრობს, ესენი არიან: გაგოშიძეები, მიქიაშვილები, ბოჭორიშვილები, ქოქოსაძეები, მიქაუტაძეები, ვაჩაძეები, თვარაძეები, ხუხუშვილები, ფოფხაძეები და ველიაშვილები. სოფელში ზამთრობით სულ 6 კომლი რჩება: ზედა უბანში – 5 კომლი და ქვედაუბანში – 1 (მიქიაშვილი)... კვლავ შოთა ნიშნიანიძის ლექსი მახსენდება:

„იყო რაჭაში დედაბერი,
მარტოკა იყო ცხრა ზამთარი
და ყველაფერი, ყველაფერი
მოთქვამდა როგორც საზანდარი.“

სექტემბერი იწურება და ხანგამოშვებით ხეებიდან ფოთლები ეშვება ფარფატით. სასაფლაოს კორდს მალე მოოქროვილი ხალიჩა გადაეკვრება. აი,ისიც „მთავარანგელოზი“. შვებით ამოვისუნთქე. როგორც იქნა დღეს მთელი და ძველი პეწის ეკლესია ვნახე. როგორც მწევარი კვალს, ისე ვყნოსავ წარსულს. ახლა ძალა მომემატება, აპარატს გავმართავ, კედლებს შემოვურბენ, ქვებს ვეამბორები... ტაძარი (6,4X4,3მ.) ნაგებია უხეშად დამუშავებული კლდის რუხი ქვით. ოსტატს ცდა არ დაუკლია წყობის თარაზულობის დასაცავად. სამხრეთ ფასადს ნათლად ატყვია XVIII ს-ის შეკეთების კვალი. ძველ, სავარაუდოდ XI ს-ის, ეკლესიას ვიწრო სარკმელი ჰქონია, მაგრამ უფიქრიათ, რომ იგი სათანადოდ ვერ ანათებდა ინტერიერს და მის ქვეშ მოზრდილი, სწორკუთხა სარკმელი ამოუჭრიათ, ხოლო არქიტრავად ძველი ტაძრის კანკელის ერთი ნაწილი გამოუყენებიათ. კანკელის სხვა ფრაგმენტები ვიწრო სარკმლის აყოლებით ჩაუდგამთ. კარის გვერდით ჩასმულ ერთ-ერთ ჩუქურთმიან ქვას სამი ასომთავრული გრაფემა აქვს შემოჩენილი. რაც შეეხება ახალი

დასასრული მე-16 გვერდზე

ქედისუბნის „მთავარანგელოზი“

მე-15 გვერდიდან

დროების რესტავრატორებს, მათ კედლიდან კირის ფენა მოუხსნიათ, ხოლო საყდრის ხის კამარა თუნუქით გადაუხურავთ. **დაახლოებით საუკუნის წინათ ე. თაყაიშვილისა და გ. ბოჭორიძეს სამხრეთის კარის თავზე არქიტავრად გამოყენებულ კანკელის „ფანჯარაზე“ ამოუკითხავთ**

ხოტევის ციხე

მხედრულით შესრულებული წარწერა, რომელიც მაშინაც სანახევროდ ყოფილა დაზიანებული, ახლა კი სრულიად არ ჩანს: „ქ. სამებაო წმიდაო აღამაღლე რქა მართლმადიდებელთა ქვეყანათა, რათა მარადის შენვე გაქებდე. ჰოი, პირმშო ძეო მე მონაი და მსასოებელი შენი... სძე ორი შემწე ვექმენ ეკლესიასა მთავარ ანგელოსისასა შემწედ და მეოხედ სულისა ჩემისა რათა მხილველნი ამისნი ჩემთვისცა შენდობას ბრძანებდე (sic) ქრისტეს აქეთ ჩღუზ“ (ე.ი. 1797წ.). ე.თაყაიშვილი მიიჩნევს, რომ მრავალწერტილით აღნინულ მონაკვეთში „წულუკი“ უნდა მჯდარიყო. მაგრამ წულუკიძეთა კუთვნილ საბატონო სოფლებში ქედისუბანი არ ჩანს, თანაც ტაძრის შიგნით, ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილ ერთადერთ მოხატულ მონაკვეთზე სხვა გვარის ხალხია გამოსახული. იქვეა ასომთავრული წარწერები, რომლებიც სადაცაა ჩაქრება. აღმოსავლეთით მდგარ მამაკაცთან წერია: **„ნაობ კენჭაძემან მოაჭედია ხატი ბრავალ ძალი წმიდაი გიორგისი, ვინცა შენდობა ბრძანოთ, ღმერთმა თქვენცა შეგინდოს. ამინ“;** მის გვერდით მდგომი მანდილოსნის წარწერა: **„თანამეცხედრე მისი კაკონა“;** ყრმის ქვეშ, რომელსაც სახე წაშლილი აქვს, წერია: **„ძე ამისი ნასხიდა“** (ალბათ „ნასყიდა“ უნდა იყოს); ბოლო, მეოთხე, ფიგურა, რომელიც დასავლეთ კიდეშია, ასეა განმარტებული: **„ასული მისი დოდალი“**. ეს წარწერები 150-200 წლით ძველია გარეთ არებულ წარწერაზე რაც იმას ნიშნავს, რომ წულუკიძეების გამოჩენამდე კარგა ხნით ადრე აქ კენჭაძეებს ეთქმოდათ სიტყვა. თამაზ მიქაუტაძემ ასეთი ლეგენდა გვითხრა: „ეკლესიის აგების დროს კენჭაძეთა გვარის მეთაურს ეკლესიის ერთ-ერთ, გაუმხელელ კედელში ოქრო ჩაუყოლებია და უთქვამს – ეკლესია თუ დანგრევა, ოქრო გამოჩნდება და იმ ოქროთი საყდრის განახლება შეგეძლებათო. ეკლესია მართლაც დანგრეულა და ზუსტად იმდენი ოქრო გამოჩენილა, რომ ახალი ეკლეისიის აშენებას და აღაპის მოწყობას კმარებია.“ საწყენია ის ამბავი, რომ სოფელში კენჭაძეებს მამული აღარ აქვთ....

რაჭის ძველი, წარჩინებული საგვარეულო სახლების გახსენებისას ისე კი არ გამოგვივიდეს, რომ ერისთავი ჩხეტიძეები გამოგვრჩნენ. მათზე სასაუბროდ ბარაკონის ტაძრის აღწერა იქნება ზედგამოჭრილი. მის გადასაღებად მეორე დღის სისხამ დილას ვარჩევთ:

საყდრის ეზოში კი შევდივართ დაუბრკოლებლად, მაგრამ მერე და მერე საქმე გვირთულდება, ნაგაზების გაავებული ყეფისა და წინააღმდეგობის გამო ტაძრის დასავლეთის კარს ვერ ვუახოვდებით, რომ შიგ შევიდეთ, არც არავინ გვეხმიანება. ეზოში დიდი სიფრთხილით დავდივართ, მაგრამ XI ს-ის ნაეკლესიარის საძირკველის ნარჩენებისაკენ გზას ვერანაირად ვერ ვიკვლევთ. ადრე ვთქვი, რომ ის ეკლესია აუცილებლად რატი ბაღვაშის ან მისი ძის კახაბერ რაჭის ერისთავის აგებული იქნებოდა, იმ კახაბერისა, რომელიც ბერად აღკვეცილა. ამ ამბავს ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის წარწერა გვეუბნება: **„მე კახაბერყოფილმან კირილე ძემან სულკურთხეულისა ერისთავთ-ერისთავისა რატისამან მოვჭედე ხატი ესე...“** რამ დააშთო ის ძველი ეკლესია უცნობია. რაჭის ერისთავთა პირველი დინასტიის მიერ აგებული და იავარქმნილი ტაძრის ნაცვლად ბოლო დინასტიის ერთ-ერთმა ბოლო ერისთავმა როსტომ ჩხეტიძემ ახალი, ჯვარგუმბათოვანი ტაძარი ააგო ღვთისმშობლის სახელზე 1753 წელს. ამის მაუწყებელ ვრცელ წარწერას ეკლესიის დასავლეთ კედელზე წაიკითხავთ.

XV საუკუნედან მოკიდებული საგავრეულოს უფროსი თოთხმეტი ჩხეტიძის სახელია ცნობილი, რომელთაგან რიგით მეოთხე – შოშიტა 1534 წელს რაჭის ერისთავად დაადგინა იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ. არის ეჭვი, რომ ჩხეტიძეები სვანეთის ფარის თემის გვარის ჩხეტიანების წარმომავლები არიან, იმ ჩხეტიანებისა, რომელთაგან ერთ-ერთმა, გადმოცემის თანახმად, სვიფის დიდებული ტაძარი ააგო. ასე რომ, ტაძართა მშენებლობა ამ გვარისთვის ახალი არ ყოფილა.

ბარაკონი თლილი, მოვარდისფრო ქვის პერანგში ზის. მის მაშენებელს, ოსტატ შულავრელს (მისი სახელი აღმ.ფასადზე, ზედა სარკმლის მარჯვნივ, ოდნავ გამოწეულ და ჯვარშემოდგმულ ქვაზე წერია) ტაძრისთვის ძველი ეპოქის იერის მიცემა განუზრახავს, მაგრამ მოგეხსენებათ, ეპოქათა სუნთქვა არ მეორდება. მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ბარაკონს ძნელად მოუძებნით ტოლსწორს.

ძალაუფლების მოყვარულთა ბედი ხშირად

ხიმშის კლდის კოშკები

ერთნაირად სრულდება. როსტომ ერისთავს სოლომონ პირველმა ურჩობისთვის თვალები დასთხარა, ხოლო მისი შვილები რაჭიდან კი არა, სრულიად იმერეთიდან გააძევა. განმეორდა XIII საუკუნის ისტორია, როცა დავით ნარინმა კახაბერ კახაბერისძე კიდევ უფრო საშინლად დასაჯა და მისი შვილები სახელმწიფოდან განსხნა.

ხალხი როსტომის დასჯას დიდად არ დაუღონებია, რადგან მას მანამდე ასეთივე რამ უქნია ჯაფარიძეთა სახლის წარმომადგენლის ჯაფარა ჯაფარაშვილისთვის. ამის თაობაზე ხალხში მოზრდილი ლექსიც კი გავრცელებულა. ბრმა ჯაფარას აღდგომის დღეს ბრმა როსტომის მისვლა რომ გაუგია მისსავე აგებულ ბარაკონში, ასე მიუმართავს მისთვის:

„მე მომთხარე თვალი, მაგრამ შენც მოგეგო ესეოდენ,

მეც წამახდინე, შენც წახდი, ქრისტე აღსდგა, გიხაროდენ!“

აი, ასეთ უსიამო ნოტზე გვიხდება ამ წერილის დასრულება, მაგრამ ჩვენი რაჭაში მოგზაურობა ამით არ მთავრდება.

კენჭაძეების ფრესკები ქედისუბნის „მთავარანგელოზში“

ნატოში გაწევრიანებას ლუდი მიუძღვნეს

ფინურმა ლუდსახარშმა კომპანიამ Olaf Brewing, ქალაქ სავონლინიდან, ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მხარდასაჭერად, ქარვისფერი სითხე ჩამოასხა. დაწესებულების დირექტორის თქმით, ადრე კომპანიას არასდროს დაუკავებია რამე პოლიტიკური პოზიცია, მაგრამ დღეს, როცა ხედავენ, როგორ უჭერს მხარს ხალხი ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების გადაწყვეტილებას, „გაბედეს ასეთი ნაბიჯის გადადგმა“.

„ამას არ გავაკეთებდით, რომ არ გვჯეროდეს, ნატოს წევრობა ფინეთისთვის და მისი უსაფრთხოებისთვის სიკეთის მომტანი იქნება“, - აცხადებენ ლუდსახარშის წარმომადგენლები. ქვეყნის პარლამენტმა უკვე დაუჭირა მხარი ალიანსში შესვლისთვის განაცხადის გაკეთებას.

სტუმრებს მღვიმეში ეპატიჟებიან

გასული ორი წელი, სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში, მეტად რთული გამოდგა და დაწესებულებები, რომლებიც კარანტინის შემდგომ კვლავ გაიხსნა, ცდილობენ, მომხმარებელს ახალი სერვისები შესთავაზონ და კლიენტები მიიზიდონ. ასე მოიქცა ერთ-ერთი გამაჯანსაღებელი კურორტი Banjaran Hotsprings Retreat მალაიზიაში, რომელთაც სტუმრები ნამდვილად გააოცეს. კურორტი ტროპიკულ ტყეში მდებარეობს, სადაც გარშემო ჩანჩქერები და უამრავი მღვიმეა, უჩვეულო კირქვული წარმონაქმნებით - სწორედ ერთ-ერთ ასეთ მღვიმეში მოაწყვეს რესტორანი.

სტუმრებს აქ შეუძლიათ „დაემალონ“ სტრესსა და პრობლემებს, თან დაუვიწყარი გასტრონომიული გამოცდილებაც მიიღონ. რესტორანი გთავაზობთ ტრაპეზს დახვეწილი კერძებით, სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს შორის, ძვირფასი ღვინის თანხლებით. თუ ჭამის შემდეგ გასეირნება მოგინდებათ, ტერასაზე გახვალთ და ცხელი წყაროების ხედებით დატკბებით ანდა ტელესკოპით ვარსკვლავებს დააკვირებით. ბუნების სილამაზე კლიენტების განწყობას აუმჯობესებს და სამკურნალო ზემოქმედებასაც ახდენს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

თავშესაფარი კაფეებითა და სათამაშო მოედნებით

სპორტდარბაზი, კაფე, პარკინგი და ბავშვების სათამაშო მოედანიც კი - ასე გამოიყურება ერთ-ერთი თავშესაფარი ფინეთში, რომელმაც სამხედრო მოქმედებების დროს, მოქალაქეები უნდა დაიცვას. ბუნკერი მდებარეობს დედაქალაქ ჰელსინკში და მას 6 ათასი ადამიანის დატევა შეუძლია. თავშესაფარში ყველაფერია ადამიანის საჭიროებისთვის - საწოლები, ფილტრაციის სისტემები, საპირფარეშო და საშხაპეები, პირველადი მოხმარების ნივთები და სხვა, რაც ცხოვრებისთვისაა საჭირო.

ფინეთის ხელისუფლების წარმომადგნელები აცხადებენ, რომ საკუთარი მოქალაქეების დასაცავად, ყველა ღონეს მიმართავენ. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ბუნკერებში მოსახლეობის 80%-ს შეუძლია შეაფაროს თავი. მხოლოდ ჰელსინკში, ასეთი 5500 თავშესაფარია და 900 ათას ადამიანს იტევს. ფინური კანონების მიხედვით, ნებისმიერი შენობა, რომლის ფართობიც 1200 კვადრატულ მეტრზე მეტია, ვალდებულია, ბუნკერი ჰქონდეს.

მთვარის გრუნტში პირველი მცენარე გამოზარდეს

აშშ-ში, ფლორიდის უნივერსიტეტში, ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც მთვარიდან ჩამოტანილ მიწაში დედამიწაზე ფართოდ გავრცელებული, კომბოსტოსებრთა ოჯახის წარმომადგენელი მცენარე - Arabidopsis thaliana დარგეს. მკვლევარებმა "აპოლონის" მისიის დროს, 1969-72 წლებში, დედამიწის თანამგზავრიდან ჩამოტანილი მცირე გრუნტი - სულ 12 გრამი გამოიყენეს, რომელიც მათ ნასა-მ გადასცა. აღსანიშნავია, რომ მცენარე ორ დღეში ამოვიდა. პირველი კვირის განმავლობაში, მცენარის ნერგი არ განსხვავდებოდა დედამიწაზე მოყვანილი იგივე ნერგისგან. ერთი კვირის შემდეგ, მთვარის გრუნტში დარგულმა მცენარეებმა საკმაოდ ნელა დაიწყეს განვითარება. ამის მიუხედავად, სწავლულები აცხადებენ, რომ მათი ექსპერიმენტის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს წარმატებული ნაბიჯია ადამიანის მთვარეზე ხანგრძლივი ყოფნის შესაძლებლობისთვის. უფრო შორეულ მომავალში კი, ის დედამიწაზე საკვების დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტაში შეიძლება დაგვეხმაროს. მთვარეზე პილოტირებულ ფრენას ნასა 2025 წლისთვის გეგმავს.

უშვილობის გამო, შვილს უჩივიან

ინდოეთში მცხოვრები წყვილი საკუთარ შვილსა და რძალს იმის გამო უჩივის, რომ ისინი შვილიშვილს არ უჩენენ. ცოლ-ქმარი პრადეშები ამბობენ, რომ მათ მთელი დანაზოგი ერთადერთი შვილის აღზრდისთვის გამოიყენეს - მისცეს კარგი განათლება, მდიდრული ქორწილიც გადაუხადეს და თუ ერთი წლის განმავლობაში, შვილიშვილი არ დაიბადება, მშობლები შვილისგან, კომპენსაციის სახით, 650 ათას დოლარს ითხოვენ.

შვილი და რძალი მედიასთან კომენტარს არ აკეთებს. გამწარებული მამა კი ამბობს, რომ უამრავი ფული დახარჯა, ბიჭი სასწავლებლად ამერიკაში რომ გაეშვა, სადაც ის მფრინავის პროფესიას დაეუფლა. ვაჟი ინდოეთში 2007 წელს დაბრუნდა, მაგრამ ორი წლის მანძილზე, სამსახურს ვერ შოულობდა და ისევ მშობლები არჩენდნენ. ის 2016 წელს დაქორწინდა - ქორწილი ხუთვარსკვლავიან სასტუმროში აღნიშნეს და თაფლობის თვის გასატარებლად, წყვილი უცხოეთშიც გაუშვეს. ამ ყველაფერში, მშობლებმა 80 ათასი დოლარი დახარჯეს. ქორწინებიდან ექვსი წლის შემდეგაც, შვილი და რძალი ბავშვს არ აჩენენ, - ამბობენ განაწყენებული და შვილიშვილზე მეოცნებე მშობლები. ადვოკატის თქმით, ისინი შვილს „მენტალური შევიწროების საფუძველზე“ უჩივიან.

დინოზავრის ჩონჩხი აუქციონზე გაიყიდა

Christie's-ის აუქციონზე, Deinonychus antirrhopus-დინოზავრის ჩონჩხი 12 მილიონ დოლარად გაიყიდა. როგორც CNN-ი წერს, ჩონჩხი, სახელად "ჰექტორი", დაახლოებით, 100 მილიონი წლისაა. ის 2013 წელს, მონტანას შტატში აღმოაჩინეს და ამ სახეობის დინოზავრის სრულად შემონახული სამი ჩონჩხიდან, ერთ-ერთს წარმოადგენს. დანარჩენი ორი ჩონჩხი მუზეუმებში ინახება. აუქციონის ორგანიზატორების ვარაუდით, ლოტის ფასი, დაახლოებით, 4-დან 6 მილიონ დოლარამდე აიწევდა, თუმცა მათი მოლოდინი არ გამართლდა და ვაჭრობაზე ჩონჩხის რეალურმა ფასმა 12 მილიონ დოლარს მიაღწია.

მიირთვით ყველი ძილის წინ

კომპანია Emma Sleep-ის წარმომადგენლები გვირჩევენ, ყველი ძილის წინ მივირთვათ. მიზეზი ის არის, რომ ეს პროდუქტი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უწყობენ კარგ ძილს. ეს ტრიპტოფანია - ბიოქიმიური ნივთიერება, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი არ გამოიმუშავებს. ის მელატონინის „წინამორბედია“, იმ ჰორმონისა, რომელსაც ძილის ციკლის შეცვლა შეუძლია. თუმცა ძილის წინ, ყველის მირთმევისას, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ - ის უნდა ჭამოთ არა უშუალოდ ძილის წინ, არამედ, ორი-სამი საათით ადრე. სპეციალისტები გვიხსნიან, რომ ეს დრო საჭიროა, რათა ორგანიზმმა სწორად გადაამუშაოს მიღებული საკვები.

მკვეთრი შუქი დეპრესიას კურნავს

აშშ-ს პიტსბურგის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა იმის მტკიცებულებას მიაგნო, რომ მკვეთრი შუქის თერაპია არ მარტო სეზონურ დეპრესიას შველის, არამედ, სერიოზულ ფსიქიკურ აშლილობებსაც კურნავს. კვლევის დროს, მედიკოსები პაციენტებს სპეციალურ სანათებს აძლევდნენ, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე 15, 30 ან 45 წუთით ენთო. ექსპერიმენტს 9 ავადმყოფის პალატაში ატარებდნენ. ოთხ მათგანს სინათლეს დილით უნთებდნენ, დანარჩენებს კი - შუადღეზე. გამოკვლევების შედეგად, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მკვეთრი შუქით თერაპია შედარებით უფრო სასიკეთო დღის საათებში იყო, ხანგრძლივობა კი დაახლოებით, 15 წუთი.

ექსპერიმენტისას, სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ შუქის თერაპია არა მარტო ზამთრის დეპრესიას შველის, არამედ, სერიოზულ ფსიქიკურ დაავადებებსაც. მათ დაამტკიცეს, რომ ბიპოლარულ აფექტურ აშლილობას, რომელსაც ადრე მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს უწოდებდნენ, სჯობს, მკვეთრი შუქის დახმარებით უმკურნალონ.

მფრინავ ტაქსის ცცდიან

შანხაიში მდებარე კომპანია TCab Tech, საჰაერო ტაქსის საცდელ ფრენებს ატარებს. სადემონსტრაციო მოდელი E20, რომელიც 50%-იანი მასშტაბისაა, მუშაობს ვერტიკალური აფრენისა და დაკიდების რეჟიმში, ასევე, ფრენის რეჟიმში გადასვლასაც ახორციელებს. მფრინავი ტაქსის ფრთების სიგრძე 6 მეტრს აღწევს. საფრენი ცდებისას, კომპანიის ინჟინრები მონაცემებს აგროვებენ აპარატის კონსტრუქციისა და კონფიგურაციის შესამოწმებლად. ტაქსის 50%-იანი მასშტაბის პროტოტიპი, დღეისთვის, ყველაზე დიდია ქვეყანაში.

გასახდომი პრეპარატი წარმატებული აღმოჩნდა

ექსპერიმენტულმა პრეპარატმა, რომელსაც ჭარბწონიან ადამიანებზე კლინიკურად სცდიდნენ, მონაწილეებში წონის რეკორდული კლება აჩვენა. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Eli Lilly and Company (Lilly)-ის შექმნილი Tirzepatide, წონაში კლებას ხელს უწყობს ბუნებრივი ჰორმონების - ინკრეტინების ეფექტების მიბაძვის მეშვეობით. ეს ჰორმონები ჭამის შემდეგ სისხლში შაქრის დონეს ამცირებენ და მეტაბოლურ პროცესებს არეგულირებენ.

ახალი პრეპარატი, რომელიც ბაზარზე ჯერ ხელმისაწდომი არ არის, ორი კონკრეტული ინკრეტინის სინთეტიკურ კომბინაციას წარმოადგენს. კლინიკური ცდების მესამე ფაზაში, 2500-ზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა. ისინი ან მსუქნები იყვნენ, ან - ჭარბწონიანები. 72 კვირის განმავლობაში, მათ ნაწილს Tirzepatide-ს აძლევდნენ, ნაწილს კი - პლაცებოს. კვლევის მსვლელობისას, მოხალისეებში, რომლებიც ახალ პრეპარატს იღებდნენ, დაფიქსირდა წონაში კლების მნიშვნელოვანი დონე (ყველაზე მეტი - 24 კილოგრამი).

ხშირი კოცნა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ადამიანები, რომლებიც ყოველდღე კოცნიან, 12 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, რომლებსაც ეს პროცესი არ უყვართ. მედიკოსების განცხადებით, კოცნა აწყნარებს ნერვულ სისტემას და თავიდან გვაშორებს სტრესს. ამასთან, საკმარისია მხოლოდ ერთი კოცნა, რომ ორგანიზმში გამოიყოს ბედნიერების ჰორმონის - ენდორფინის დამამშვიდებელი პორცია. ერთი ვნებიანი ამბორი კი 12 კილოკალორიას წვავს, ხოლო თუ კოცნა ერთი წუთი მაინც გრძელდება, ეს დაახლოებით, 500 მეტრის გარბენას უდრის.

სპეციალისტების თქმით, კოცნა საჭიროა, რათა ორგანიზმის საერთო ტონუსი ნორმაში იყოს. მათი განცხადებით, ხანმოკლე კოცნა გულის კუმშვის სიხშირეს ზრდის, რაც საშუალებას იძლევა, სისხლი სწრაფად ამოძრავდეს, რის გამოც უჯრედები მეტ ჟანგბადს იღებენ. გარდა ამისა, სისხლში ქოლესტერინის დონეც მცირდება, რაც სიმსივნის განვითარების რისკს ამცირებს. კოცნას რეკომენდაციას უწევენ ამერიკელი სტომატოლოგებიც - კალციუმისა და ფოსფორის ნაერთების შემცველი ნერწყვის ძლიერად გამოყოფა კბილებს კარიესისგან იცავს. იაპონელი მედიკოსები კი აცხადებენ, რომ კოცნა ალერგიისგანაც გვიცავს. მათი თქმით, ამ დროს არსებითად იზრდება სისხლში ალერგენებთან მებრძოლი ანტისხეულების რაოდენობა.

ყური ვაშლისგან გამოიყვანეს

კანადელმა მეცნიერმა, ენდრიუ სპელინგმა ადამიანის ყურის ნიჟარები ჩვეულებრივი ვაშლისგან გამოზარდა. მკვლევარმა ხილში ღეროვანი უჯრედების იმპლანტირება განახორციელა და შედეგად, ადამიანის ყური გამოზარდა. მისი თქმით, საფუძვლად ვაშლი იმიტომ აიღო, რომ გაჭრილი, ძალიან ჰგავს ადამიანის სმენის ორგანოს. ხილიდან სწავლულმა ყველა დედა-უჯრედი ამოიღო და ერთგვარი ცელულოზას კარკასი მიიღო, რომელშიც ღეროვანი უჯრედები მოათავსა. ახლა სპელინგი აპირებს, ამავე მეთოდით ღვიძლი, გული და სხვა ორგანოები გამოზარდოს, რისთვისაც სხვადასხვა ხილსა და ბოსტნეულს გამოიყენებს.

სად ცხოვრობენ ყველაზე კარგი მამები

სად და - პორტუგალიაში! ეს დასკვნა გენდერულ პრობლემებზე მომუშავე მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფს ეკუთვნის. ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა სტატისტიკური მონაცემები გააანალიზეს, რათა სხვადასხვა ქვეყანაში, შვილების მიმართ მამების მზრუნველობის რეიტინგი შეედგინათ. შეფასების ძირითადი კრიტერიუმი დრო იყო, რომელსაც მამები შვილებთან ურთიერთობასა და თამაშზე ხარჯავენ. ყველაზე უარესი მშობლები ბრიტანელი მამები აღმოჩნდნენ - ისინი შვილებისთვის დღეში მხოლოდ 24 წუთს ხარჯავენ. პორტუგალიელების შემდეგ, კარგი მამების რეიტინგში ლიდერობენ შვედი, ფრანგი, იტალიელი და ახალზელანდიელი მამაკაცები.

მაკარონი-საკურა გამოუშვეს



ამომავალი მზის ქვეყანაში, საკურას ყვავილობის ხანას სულმოუთქმელად ელოდებიან, თუმცა კომპანია Tamaya Seimen-ის წყალობით, იაპონელებს ამ სიამოვნების მიღება წლის ნებისმიერ დროს შეუძლიათ - დატკბნენ საკურას ნაზი ვარდისფერი ყვავილების არა მხოლოდ ცქერით, არამედ, დააგემოვნონ კიდეც ის. ამისთვის საკმარისია, მხოლოდ მაკარონი შეიძინონ, რომლის ფორმა და ფერი საკურას ყვავილებისას ჰგავს. მაკარონის ფერი ჭარხლის წვენისგან მიიღეს. კომპანიის დიზაინერები თანამემამულეებს ურჩევენ, ასეთი პასტა დაამატონ სალათებსა და სუპებში - მაკარონის ერთი ვარდისფერი ყვავილიც კი, კერძს რომანტიკულს გახდის. საკურა-პასტის ერთი შეფუთვის ფასი 400 იენი, დაახლოებით, 4 დოლარია.

ფრჩხილების სამკურნალო ლაქი კიბოს წინააღმდეგ?

ვინ იფიქრებდა, რომ სიმსივნით დაავადებული ადამიანები, ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ჩვეულებრივი ბალზამის წყალობით, მნიშვნელოვნად შეიმუსბუქებდნენ ცხოვრებას. ასეთ ბალზამში არსებული ნატურალური ზეთებისა და მცენარეული ექსტრაქტების წყალობით, შესაძლებელი ხდება ქიმიოთერაპიის შემდგომ, ზოგიერთი გართულება შეიმსუბუქონ. ამ სპეციალური ფორმულის საფუძველი, რომელიც კლინიკა Addenbrooke's Hospital-ის სპეციალისტებმა შეიმუშავეს, სამკურნალო ზეთები და მცენარეებია.

ხშირად, ქიმიოთერაპიას ისეთი არასასურველი შედეგები მოსდევს, როგორებიცაა თმის ცვენა, ფრჩხილების მტვრევა და ზოგჯერ, მათ ადგილას, ჩირქოვანი წყლულების გაჩენა, რასაც თან უსიამოვნო სუნი სდევს. ასეთ პაციენტებს სირთულეები ექმნებათ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ასეთ ავადმყოფებს შეუძლიათ, ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ბალზამი გამოიყენონ, რომლის რეცეპტიც თავად მოიფიქრეს - მასში შედის ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული ოთხი ზეთი, რომელთა მოქმედებითაც მიიღწევა ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი ეფექტი. სპეციალური ბალზამი ამჟამად გამოცდას გადის 30 პაციენტზე, რომლებიც ქიმიოთერაპიის კურსს იტარებენ.

მარილიანი საკვები სტრესს მოგიხსნით

ნატრიუმი, რომელსაც მარილიანი საკვები შეიცავს, ჰორმონ ანგიოტეზინს ახშობს, რომელიც შფოთვას უკავშირდება. ამერიკელი სწავლულები ცინცინატის უნივერსიტეტიდან, საკუთარი კვლევების საფუძველზე ამტკიცებენ, რომ მარილიანი კერძები ადამიანს სტრესის დაძლევაში ეხმარება. მათი თქმით, ასეთ საკვებში ნატრიუმი ახშობს ანგიოტეზინს და ხელს უწყობს ჰორმონ ოქსიტოცინის გამომუშავებას, რომელიც ორგანიზმზე დამამშვიდებლად მოქმედებს და მთლიანობაში, ადამიანის მდგომარეობა ჰარმონიული ხდება. მართალია, კვლევა ლაბორატორიულ თაგვებზე მიმდინარეობდა, მაგრამ სწავლულების მტკიცებით, ეს პროცესები ადამიანშიც ანალოგიურად მიმდინარეობს.

ჩინური წამება – „სმაილიკების“ გადაწერა



ჩინეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მასწავლებელმა, იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ლექციებზე აგვიანებენ, საინტერესო სასჯელი მოიფიქრა. მასწავლებელი აიძულებს ზარმაცებს, ხელით გადაწერონ 1000 სხვადასხვა ემოციის სიმბოლო ანუ „სმაილიკები“. ქალაქ ჩენდუს უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის წესებით, ყოველი სტუდენტი, რომელიც მეცადინეობაზე აგვიანებს, იღებს A4-ფორმატის სუფთა ფურცელს და სამახსოვროს - 1000 სხვადასხვა „სმაილიკის“ გამოსახულებით. სტუდენტმა ის ზუსტად ისე უნდა გადაწეროს, როგორც სამახსოვროშია ნაჩვენები, ყოველგვარი ცვლილებისა და შეცდომების გარეშე.

ლექტორი დარწმუნებულია, რომ მისი ეს „ძალიან დახვეწილი და ეფექტური მეთოდი“ სტუდენტებს აიძულებს კონცენტრირებას ყოველი შტრიხის დაწერაზე. შედეგად, სასჯელს სიკეთე მოაქვს, რადგან ახალგაზრდებს უწევთ, სერიოზულად დაძაბონ ტვინი და ისე შეასრულონ დავალება. ასეთი სახის სასჯელი ხშირად გამოიყენება ჩინეთის სასწავლო დაწესებულებებში, მაგრამ „სმაილიკების“ გადაწერა პირველი შემთხვევაა. უფრო ხშირად, დასჯილებს ჩინური ანბანის ყველაზე რთული იეროგლიფის („ბიანის“) 1000-ჯერ დაწერას ავალებენ ხოლმე, რომელიც 57 შტრიხისგან შედგება.

ჩაი აპოკალიფსისთვის

კრეატიულმა სააგენტომ მადრიდიდან - Niiiiice, ირონიული სარეკლამო კამპანია წამოიწყო ჩაისთვის - The End, რომელიც სამყაროს დასასრულს „სიამოვნებით“ შეგვახვედრებს. კლიენტებს ბალახეულებზე დამზადებულ კომპოზიციებს სთავაზობენ, რათა მომზადებულნი შეხვდნენ მეტეორიტის შეჯახებას, მასშტაბურ ხანძრებს, ცუნამს, ვირუსებს, ბირთვულ ომსა და ამებებს, რომლებიც ტვინს ჭამენ. „დატკბით გარდაუვალით“ - ასე ჟღერს ამ კამპანიის ლოზუნგი.

ჩაის ხაზში, ყველაზე აქტუალური Pandemic Chill-ის მიქსია, რომელიც „ლომონისა და კოჭას ჰარმონიული შერწყმაა“ და კორონავირუსის პანდემიას უკავშირდება. ასორტიმენტშია, ასევე, Meteor Calm - კატაბალახითა და გვირილით, Nuclear Detox - ვანილითა და დარიჩინით, Peace Invasion - ლავანდითა და ჰიბისკუსით და Mint Wildfire - პიტნითა და როზმარინით, რომელსაც დამამშვიდებელი მოქმედება აქვს. ახალი ბირთვული ომი, კლიმატის ცვლილება, ცუნამი და ტვინისმჭამელი ამებებიც სიამოვნებად მოგეჩვენებათ, თუკი ხელში ცხელი ჩაის ფინჯანი გიჭირავთ, - დარწმუნებულნი არიან კომპანიის წარმომადგენლები.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.